ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა შაბათს

№81 (1591) 13-15 აგვისტო, 1997 წელი

# გვიშველეთ, აქ მალე უბედურება დატრიალდება

## გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორს ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

თითქმის ერთი წელია, ბორჯომის წყლით ვაჭრობა, რომელიც მოსახლეობის მიერ კუსტარული წესითაა ჩამოსხმული – ნარკოტიკებით ვაჭრობაზე მაღალ რანგში ჰყავთ აყვანილი.

ულუკმაპუროდ დარჩენილი სოფლის მუშები, გლეხობა და ინტელიგენცია რაიონის ხელმძღვანელობამ დაპირებებით აავსო, მაგრამ საქმეს ბოლო მაინც არ უჩანს. ორი თვის წინათ გამგებელ ვბერიძის დაპირება იმის თაობაზე, რომ 50 კაცს დაასაქმებდა ორ მცირე საწარმოში, ტყუილი აღმოჩნდა.

7 აგვისტოს, პოლიციელებით (უკვე მერამდენედ) აწიოკებული მოსახლე-

2



# შსს მინისტრმა თხოვნით მიმართა გენერალურ პროკურორს, აღძრას სისხლის სამართლის საქმე სედპ-ის ლიდერის წინააღმდეგ

შინაგან საქმეთა მინისტრმა, კახა თარგამაძემ თხოვნით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს, აღძრას სისხლის სამართლის საქმე ირინა სარიშვილი-ჭანტურიას მიერ მის მიმართ ცილისწამების ფაქტზე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა, ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ ბრალი დასდო შს მინისტრს, რომ ის მონაწილეობს ბენზინისა და სიგარეტის უკანონო ბიზნესში. თარგამაძის თქმით, „სარიშვილი-ჭანტურიას არ გააჩნია მოცემული ბრალდებების დამადასტურებელი დოკუმენტები. მსგავსი ბრალდებები არაჯანსაღ აჟიოტაჟს ქმნის საზოგადოებაში, ხოლო ირინა სარიშვილი-ჭანტურია ალოგიკური გამონათქვამებით ცდილობს იაფფასიანი ავტორიტეტის მოპოვებას“.

როგორც თარგამაძემ გუშინ პრეს-კონფერენციაზე თქვა, „ედპ-ის ლიდერი, რომლის უკან დგანან გატარებული რეფორმების შედეგად სამინისტროდან განთავისუფლებული თანამშრომლები, უსაფუძვლო და დაუმოწმებელ ბრალდებებს უყენებს შსს-ს ხელმძღვანელობას“.

კახა თარგამაძემ უარი განაცხადა იმ პირების დასახელებაზე, რომლებიც, მისი თქმით, დგანან სარიშვილი-ჭანტურიას უკან.

„მათ ვინაობას მხოლოდ მას შემდეგ დავასახელებ, როცა ბრალდებებს მიეცემა სამართლებრივი და სამართლიანი შეფასება“, – თქვა მინისტრმა.

„ნუ ჰგონია სარიშვილი-ჭანტურიას, რომ შეუძლია ვინმე მოხსნას, ან დანიშნოს რაიმე თანამდებობაზე. ეს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის პრეროგატივაა“, – განაცხადა თარგამაძემ და დასძინა, რომ „მისი სავარძელი არ შერყეულა, როგორც ეს ბევრს სურს იფიქროს და მოცემულ თანამდებობაზე ის კიდევ კარგა ხანს დარჩება“. (პრაიმ-ნიუსი)

*რესპუბლიკურმა პარტიამ (თავმჯდომარე ი.ხაინდრავა) პრესით შესთავაზა „ქართველობასა და აფხაზობას“ „თანაცხოვრების ახალი მოდელი – ერთიანობა განცალკევების მეშვეობით“ და გაავრცელა შესაბამისი ტექსტი სათაურით: „კონფლიქტი აფხაზეთში და მისი მოგვარების შესაძლო გზა“.*

*ვაქვეყნებთ ნოდარ ნათაძის გამოხმაურებას ამ ტექსტზე.*

# ეს გეგმა არ გამოდგება!

დოკუმენტში ერთადერთი დებულებაა, რომელსაც სრულად და უყოყმანოდ ვეთანხმები: „საქართველოს ხელისუფალთა უმოქმედობამ და უიმედობამ ომამდელ პერიოდში გარდაუვალი გახადა შეიარაღებული კონფლიქტი; ომის მსვლელობაში კი ხელისუფლება რუსეთის ხელისშეწყობით გაჩაღებული კონფლიქტის რუსეთის მეშვეობითვე მოგვარების ყოვლად უპერსპექტივო გზას დაადგა“. დოკუმენტის დანარჩენ ნაწილს არ ვეთანხმები არც მდგომარეობის ანალიზის მხრივ, არც წინადადებების (რეკომენდაციების) მხრივ, არც ავტორთა მიერ არჩეული ტაქტიკის მხრივ. ამიტომ მინდა პირველ ყოვლისა, მოვახსენო მკითხველს, რომ *„საქართველოს გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას“*, რომლის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე მე გახლავართ, საერთო არაფერი აქვს (სახელის მსგავსების გარდა) „რესპუბლიკურ პარტიასთან“, რომელსაც ზემოხსენებული წინადადებები (რეკომენდაციები) ეკუთვნის.

## გეგმის ანალიზური ნაწილი

ავტორებს „ძირითად წინააღმდეგობად“ კონფლიქტის ქართულ და აფსუურ მხარეთა შორის მიაჩნიათ ის, რომ ქართველები შიშობენ, დევნილთა დაუბრუნებლად აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრამ გზა არ გაუხსნას დე-ფაქტო არსებულ სეპარატისტულ ხელისუფლებას საქართველოსგან გამოყოფისკენ, აფსუები კი შიშობენ. დევნილი მოსახლეობის დაბრუნების შემდეგ ქართველებმა თავისი უმრავლესობის გამოყენებით მათი საბჭოებისდროინდელი ავტონომიაც არ შეზღუდონ. ეს ანალიზი ზედაპირულია და, ამდენად, არასწორი. ავტორთა მიერ შენიშნული წინააღმდეგობა მართლაც *არის*, მაგრამ იგი *მთავარი არ არის*. აფსუა სეპარატისტებს ძირითადად ეშინიათ ქართველი მოსახლეობის არა პოლიტიკური შესაძლებლობებისა (ანუ მისი, როგორც ამომრჩევლების, მოქმედებისა), არამედ, პირველ ყოვლისა, ამ მოსახლეობის *დემოგრაფიული* შესაძლებლობებისა კერძოდ, ქართველი მოსახლეობის არსებობისა მათ ეშინიათ იმიტომ, რომ ქართველი მოსახლეობა ამ ტერიტორიაზე *ავტოხთონური* (ისტორიულად მკვიდრი) მოსახლეობაა და, ამასთან, იგი აფსუებთან ერთად ამ ტერიტორიის *სატიტულო* მოსახლეობას წარმოადგენს, რის გამოც უპერსპექტივოა ამ მოსახლეობის შემდგომი დისკრიმინაცია, როგორც ტერიტორიის მართვის მონაწილისა, აფსუების სასარგებლოდ. ავტორებს უნდა მოეხსენებოდეთ, რომ აფსუა სეპარატისტების დამოკიდებულება აფხაზეთის მოსახლეობაში ქართული ელემენტის ზრდისადმი ძირეულად განსხვავდებოდა ყოველთვის და ახლაც განსხვავდება მათივე დამოკიდებულებისაგან აფხაზეთში სხვა არააფსუა ელემენტის (სომეხი, რუსი...) ზრდისადმი. ამ უკანასკნელს ისინი ყოველთვის მიესალმებოდნენ და დღესაც მიესალმებიან. რატომ? იმიტომ, რომ ამ ავტოხთონური და არასატიტულო მოსახლეობის არსებობა აქამდე არ უშლიდა აფხაზეთში აფსუური *ეთნოკრატიის* არსებობას და აფსუა ლიდერებს ამაო იმედი აქვთ, რომ არც მომავალში შეუშლის.

გეგმის ავტორები მართალნი არიან იმაში, რომ „აფხაზეთის მთელი ტერიტორიის არამცთუ კოლონიზაცია, არამედ ადმინისტრაციული ან სამხედრო კონტროლის განხორციელება აღემატება აფხაზთა რეალურ შესაძლებლობებს“, მაგრამ ცდებიან, როცა ფიქრობენ, რომ ამის გამო აფსუა სეპარატისტები ხელს იღებენ ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაზე დემოგრაფიულ სფეროში და თავის ყურადღებას მხოლოდ პოლიტიკურ სფეროს უთმობენ. პირიქით, აფსუებმა იციან, რომ მათ აფხაზეთის დემოგრაფიული ათვისების პერსპექტივა არა აქვთ (სხვათა შორის, მრავალშვილიანობის ტრადიციის არარსებობის გამოც), და ამიტომ ბრძოლის ისევ დემოგრაფიული, მაგრამ *სხვა* საგანგებო მეთოდები აქვთ მოძებნილი. ისინი წერენ, რომ საჭიროა აფხაზეთში მრავალცოლიანობის დაშვება, ერთის მხრივ, და აფხაზეთის *დემოგრაფიული გახსნა* (უცხოთა შემოსახლება, ოღონდ ცხადია, არა ქართველებისა) მეორე მხრივ. ამ პირობებში გულუბრყვილოა გეგმის ავტორთა მსჯელობა, რომ ომში ვერც ქართულმა მხარემ მიაღწია თავის მიზანს, ვერც აფსუურმა. აფსუურმა მხარემ თავის მიზანს დიდწილად მიაღწია, მან ქართველი მოსახლეობა ნოლზე დაიყვანა. ამდე-

2

# „მხედრიონის“ ყოფილი ხელმძღვანელის სასამართლო პროცესის დაწყების ვადა დღეს გაირკვევა

დღეს უზენაესმა სასამართლომ უნდა განსაზღვროს ჯაბა იოსელიანისა და სხვა 13 „მხედრიონელის“ სასამართლო პროცესის დაწყების ზუსტი ვადა, რომელთაც სხვადასხვა სახის უმძიმეს დანაშაულებში ედებათ ბრალი.

როგორც იოსელიანის ადვოკატმა, გოგმარ გაბუნიამ „პრაიმ-ნიუსს“ განუცხადა, მან სასამართლოსაგან მოითხოვა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა იოსელიანის მიმართ, ან მისი თავდებით, ან გირაოთი განთავისუფლება.

ჯაბა იოსელიანს ბრალად ედება სამშობლოს ღალატი, განზრახ მკვლელობები, ბანდიტიზმი, ტერაქტების მოწყობა და მოწყობის მცდელობები, იარაღის უკანონო ტარება, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა და სხვა, რაც, მისი ადვოკატის აზრით, „დაუმტკიცებელი და აბსურდულია“.

გაბუნიას თქმით, იოსელიანი იმხილება შევარდნაძეზე თავდასხმის მოწყობის სამ მცდელობაში. პროკურატურის ერთ-ერთი ბრალდებით, ჯაბა იოსელიანმა სოლიკო ხაბეიშვილი მოაკვლევინა, რათა მოკლულის პანაშვიდზე მისული პრეზიდენტი ლიფტში აეფეთქებინათ.

დღეს უზენაეს სასამართლოში რესპუბლიკის პროკურატურის წარმომადგენელმა უნდა წამოაყენოს საკუთარი არგუმენტები, რომლებითაც დაადასტურებს მომავალი განსასჯელების პატიმრობაში ყოფნის აუცილებლობას. (პრაიმ-ნიუსი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეს გეგმა არ გამოდგება!

პირველი გვერდიდან

ნად, იგი დღეს გამარჯვებულია და თავისი გამარჯვების შედეგთა დაკანონების (ან თუნდაც დაკონსერვების) მსურველია. უდიდესი გულუბრყვილობაა ისიც, რომ ამ მიზნით წარმოებულ ომს „შულლს" ეუწოდებთ, როგორც ამას გეგმის ავტორები ჩადიან, და არა „სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას საარსებო სივრცის გაფართოებისათვის".

## ავტორთა წინადადებები

არასწორ ანალიზს ლოგიკურად მოსდევს არარეალისტური წინადადებები (რეკომენდაციები), კერძოდ, რეკომენდაცია „აფხაზეთის რესპუბლიკის", ანუ აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის (თითქმის ნახევრის) დემილიტარიზაციისა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან და ამ დემილიტარიზებულ ზონაში ლტოლვილთა მცირე ნაწილის დაბრუნებისა შესახებ. ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს, რომ ქართველი მოსახლეობის თუნდაც მცირე ნაწილის დაბრუნება იქ, სადაც არაა საქართველოს სამხედრო ნაწილები, მაგრამ არის აფსუური პოლიცია და შინაგანი ჯარი (პროექტის მიხედვით კი, როგორც ვთქვით, ასეთია მთელი „აფხაზეთის რესპუბლიკა"), *შეუძლებელია უსაფრთხოების თვალსაზრისით* (მით უფრო, რომ ჩატარებული გენოციდის ავტორები, არძინბას ჩათვლით, დაუსჯელნი რჩებიან). ცხადია, შეუძლებელია იმის ფიქრი, რომ იარაღით დაუცველ ქართველ მოსახლეობას, რომელიც აფსუებს დემოგრაფიულ „ხიფათს" უქადის (ზემოხსენებული მიზეზის გამო), სეპარატისტები კიდევ ერთხელ გაჟლეტას არ მოუნდომებენ ხელსაყრელი პირობების შექმნისთანავე. მაგრამ თუ „აფხაზეთის რესპუბლიკა" დემოგრაფიულად არაქართულია ან არაქართული იქნება პრინციპულად და სამარადისოდ, მაშინ რაღა გამართლება აქვს მის ყოფნას საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში? მაშინ ეს იქნება შიშველი კოლონიალიზმი, როგორიცაა მაგალითად, რუსეთის მიერ პყრობა იმ ტერიტორიებისა (თუნდაც ჩეჩნეთისა), რომელიც დემოგრაფიულად და ისტორიულად რუსული არ არის. ამგვარად, ამ წინადადებით (რეკომენდაციით) საძირკველი ეყრება ისეთი ვითარების შექმნას, როცა „აფსუური ქვეყანა აფხაზეთი" საქართველოს „კოლონიური ბატონობისაგან" თავისუფლების მაძიებლის სახით ჩანს.

## ავტორთა ტაქტიკა

რაკი გეგმის ავტორები ქართველები და საქართველოს ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენლები არიან, ბუნებრივია, რომ მათი წინადადებები აღიქმება როგორც ქართული *მხარის* პოზიცია. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. ავტორები მხარეებს მიჰმართავენ როგორც ნეიტრალური და მიუკერძოებელი არბიტრები, ამასთან მხარეებში ისინი გულისხმობენ „ხელისუფლებებს" (ე.ი.ქართულ და აფსუურ ხელისუფლებებს), რომელთაგან ერთი მაინც ქართველი მოსახლეობის გენოციდის ავტორია, და მიზნად ისახავენ „არაძალადობითი გზით მოგვარებისათვის ჯანსაღი ნიადაგის შექმნას". ეს ტაქტიკა დღეს, რბილად რომ ვთქვათ, ***ანაქრონიზმია*** და თავისი წარმოშობით, ალბათ, სხვა არაფერია, თუ არ იმ დროის ინერცია, როცა ომი ჯერ მომხდარი არ იყო და ავტორებს, მათივე სიტყვებით, თავისი ამ პროექტით მისი აცილება უნდოდათ. შეუსაბამობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ავტორთა კილო მათ ანკეტურ მონაცემებს არ ეთანადება, არამედ იმაში, რომ ავტორები ***უგულებელყოფენ რეალურ სამხედრო, იურიდიულ, დემოგრაფიულ ძალთა თანაფარდობის ფაქტორს***, რომელიც მოცემულ სიტუაციაში მოგვარების პირობათა ერთადერთი განმსაზღვრელია. დღეს ძალისმიერი დაპირისპირება მხარეებს შორის ***ფაქტია*** და ამიტომ ისეთ დიალოგს, როდესაც პარტნიორის სისუსტეებს ჩქმალავთ მისი წყენინების შიშით, დღეს აზრი აღარა აქვს. დღეს კონფლიქტის დიალოგური დარეგულირების მხოლოდ ერთი გზა - ძალთა ***რეალური ბალანსის*** შესაბამისი შეთანხმების გზა - არსებობს. მაშასადამე, გეგმის ავტორები ვალდებულნი არიან თავის გეგმაში გაითვალისწინონ ის სამხედრო, იურიდიული, დემოგრაფიული და ეკონომიკური უპირატესობები, რაც კონფლიქტის ქართულ მხარეს აქვს, და რეკომენდაციებიც შესაბამისად მოზომონ. სახელდობრ, ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ, რომ

ა) ქართველი ერი დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ***უდავოდ*** ავტოხთონური (ისტორიულად მკვიდრი) ერია, ხოლო დღევანდელი აფსუა ერის წინაპართა მნიშვნელოვანი ნაწილის იმიგრაცია საქართველოში XVII-XVIII საუკუნეებში ფაქტია. ამის გათვალისწინება საჭიროა იმიტომ, რომ საქმეში ჩაბმულ ზოგ პირს, მაგალითად, ბრუნერს ქართველობა აფხაზეთში მოსული ელემენტი ჰგონია და, შესაბამისად, აფხაზეთს აფსუების ეთნიკურ ტერიტორიად თვლის.

ბ) რაკი აფხაზეთი იურიდიულად საქართველოს ტერიტორიაა, იქ მაცხოვრებელი არაქართველი და არააფსუა მოსახლეობის უფლებამოსილებებსა და მათი ტერიტორიის სტატუსს განსაზღვრავს საქართველოს ხელისუფლება და არა აფხაზეთის მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის, მათ შორის ქართული და აფსუური ნაწილის ნება.

ეს რომ გაეთვალისწინებინათ, გეგმის ავტორები აღარ მიაკუთვნებდნენ ქართველებთან თანაცხოვრების არამსურველ აფსუა ერს, რომელსაც ისინი „აფხაზეთის რესპუბლიკად" წოდებულ დექართველიზებულ ტერიტორიას უთმობენ მისი ავტონომიური სახელმწიფოებრიობისათვის, დღევანდელი აფხაზეთის ***თითქმის ნახევარს***, არამედ მსჯელობა ექნებოდათ მხოლოდ იმ გეოგრაფიულ არეალთა სტატუსზე, რომელშიც აფსუები ცხოვრობენ, ანუ, ზოგადად რომ ვთქვათ, აფხაზეთის ათვისებული და ასათვისებელი ტერიტორიის იმ 18 პროცენტზე, რომელიც შეესაბამება აფსუა ერის წილს აფხაზეთის მოსახლეობაში 1992-1993 წლების გენოციდამდე.

## განმუხტვის მექანიზმები?

ასეთი მექანიზმების შექმნა ***შესაძლებელია***. მოვიყვან ერთ მაგალითს.

ყველაზე მნიშვნელოვანი განმუხტველი ფაქტორი დღევანდელი უფსკრული წინააღმდეგობისათვის იქნება იმის მექანიზმის დაკანონება, რომ არსებული დემოგრაფიული პროპორციები მკვეთრად და დრამატულად არ შეიცვალოს (ვგულისხმობ, რა თქმა უნდა, 1992 წლამდე არსებულ პროპორციებს). სახელდობრ, თუ საქართველოს არც ერთ წერტილში, უპირატესი აფსუური დასახლების ზონების ჩათვლით, არ მოხდება უცხოელის ჩასახლება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ნების გარეშე, და, სამაგიეროდ, უპირატესი აფსუური დასახლების ზონებში არ მოხდება არავისი დასახლება ამ ზონის გარედან ადგილობრივი არჩევითი ხელისუფლების ნების გარეშე, ეს მოხსნის იმ ძირითად დემოგრაფიულ შიშს, რომელიც დღეს კონფლიქტის მკვებავი ფონის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია.

* * *

ცხადია, ერთი მიუღებელი გეგმის გამოქვეყნების ფაქტი არ გამორიცხავს აფხაზეთის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების *სხვა* გეგმებზე მუშაობის საჭიროებას. ქართულ მეცნიერულ და პოლიტიკურ აზრს უნდა შეეძლოს - და შეუძლია კიდეც - იმგვარი იურიდიული და პოლიტიკური განსაზღვრებების პოვნა, რომელთა წყალობითაც საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები, ყველა მოქალაქის, ადამიანის უფლებები და ერთა უფლებები იდეალურად დაცული იქნება - შეუძლია იმიტომ, რომ საქართველოს სახელმწიფო ეროვნულ ინტერესებსა და ამ უფლებებს შორის არავითარი დისჰარმონია არ არსებობს!

**ნოდარ ნათაძე**

# გვიშველეთ, აქ მალე უბედურება დატრიალდება

პირველი გვერდიდან

ობა იძულებული გახდა მიემართა აქციისათვის. იგი დილის 7 საათზე დაიწყო. შეწყდა №2 ჩამომსხმელი ქარხნიდან პროდუქციის გატანა. ქარხნის ტერიტორიაზე არ უშვებენ მუშა-მოსამსახურეებს. სოფლის მშრომელები მოითხოვენ სამუშაო ადგილებს და ქარხანაში მომუშავე მუშაკებისათვის შესაფერის ანაზღაურებას.

მოპიკეტეებთან საუბარში №2 ჩამომსხმელი ქარხნის დირექტორის მოადგილემ ბ-ნ ლევან ბერიშკელმა განაცხადა: 450 კაცი სამუშაოზე შენარჩუნებული იქნებაო, ვინც არ იმუშავებს, ხელფასის 70%-ს მიიღებსო (ეს კი 25 ლარს შეადგენს?). აქ რას დგახართ, წადით, მთავრობას ედავეთო.

მუშა ევსო ხაჩიძე აცხადებს: არც მე მყოფნის 30 ლარი ხელფასი, მაგრამ ძალაუნებურად ვმუშაობ, სად წავიდე?

ქარხნებში მუშათა შემცირება განუკითხავი პრინციპებით ტარდება, უგულებელყოფილია შრომის კანონმდებლობის მოთხოვნები. მომუშავე მუშაკებზე გაუფორმებელია შრომითი ხელშეკრულება. ესეც ჩვენში ცნობილი კომპანიის ცივილიზებული დონე და საქვეყნოდ ნაქები ბიზნესმენის მ.ხაზარაძის „სამფლობელო".

სოფელ ყვიბისის, რველის, ბეშეთის და ქბორჯომის მოსახლეობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კომპანია ტი-ბი-სი ან უნდა წავიდეს ბორჯომიდან, ან ის არაკონსტიტუციური კონკურენციული საქმიანობით საბოლოოდ გაკოტრდება.

სოფელ ყვიბისში 8 აგვისტო რაიონის მოსახლეობის გაფიცვის მეორე დღეა.

ჩვენთვის უცნობია ტენდერში გამარჯვებული კომპანიის ვალდებულებები. მოვითხოვთ, იგი გამოქვეყნებული იქნას თქვენს გაზეთში.

იქნებ სყვიბისის მოსახლეობას რაიმე კომპენსაცია ეკუთვნის?



გადასახედია პრეზიდენტის 1997 წ. 1 მაისის ბრძანებულება, რის საფუძველზეც მშიერ მოსახლეობას პოლიცია მიუსია. ამ საქმეში შარშან აგვისტოში შექმნილ საპარლამენტო კომისიასაც აქვს თავისი „კაცური" სიტყვა ნათქვამი.

ბატონო ნოდარ, სოფელს დღეს ძალიან უჭირს. გვიშველეთ, აქ მალე უბედურება დატრიალდება.

P.S. უკვე დაიწყეს კერძო ჩამოსასხმელი ობიექტების ძალით დალუქვა.

სოფლის სახელით:

*რომული კუკულავა, თინა ბელაშვილი, მაია გელაშვილი, თამარ გელაშვილი, ასმათ გელაშვილი, დალი ფილიშვილი, ციცო ლელაძე, სულიკო ლელაძე, ქეთინო დევიძე, ნუკრი ხაჩიძე, ლილი ბლიაძე, ნინა გოგალაძე, თემურ გელაშვილი, გურამ ხეცაძე, პაატა შერგელაშვილი, გივი ხაჩიძე, როლანდ ტალახაძე, მარინა ხაჩიძე, როზა ხაჩიძე, ციური ხაჩიძე, ხათუნა ფილიშვილი, ნაილი ნიქაბერიძე, ქიქო გელაშვილი, ციალა გელაშვილი, გია ზენაშვილი, ზეზა გელაშვილი, ნინო სალაღია, იზოლდა ბაღდავაძე, მარინა გოგოლაძე, ნ.გელაშვილი, ი.გელაშვილი, ვ.გელაშვილი, ნ.გელაშვილი, გ.ბურჯანაძე, ვალიკო გელაშვილი, ლია გედიაშვილი და სხვები.*

*ბატონ ნიკო ლეკიშვილს*
*ბატონ ბადრი ხატიძეს*

ბატონო ნიკო, ბატონო ბადრი, ამ წერილში სრულყოფილად ვერ არის დახატული ის მწვავე სოციალური სურათი, რომელიც ახლახან ვიხილე ხსენებული სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრისას.

„მოსალაპარაკებლად" გაგზავნილ პოლიციელებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის შესაძლოა შეტაკებაც კი მომხდარიყო და სისხლი დაღვრილიყო, რომ არა შემთხვევით ჩემი იქ მისვლა.

მე არ ვარ კომპეტენტური და ვერ შევუდგები საქმის დეტალურ ანალიზს, მაგრამ ერთს კი მოგახსენებთ, რაიონის ხელისუფლება, კერძოდ, გამგებელი ვ.ბერიძე როდესაც აღელვებულ ხალხს უცხადებს, მე რას მერჩით, ბრძანება პრეზიდენტისაგან მოდისო, რა ჰქვია ამას (რასაც ადასტურებენ სოფლის მაცხოვრებელნი)?

პატარა ხელისუფალი საკუთარ ხალხს ძალით უჯანყებდეს პრეზიდენტს, რომლის ერთგულებაზეც დებს თავს, გაგიგიათ?

პრეზიდენტმა ბორჯომის რაიონში და კერძოდ, სოფ.ყვიბისში გამგეობის ყოველგვარი „წახმარების" გარეშე, პატიოსნად მიიღო ხმების თითქმის ასი პროცენტი, ბერაძემ კი იმდენი მოახერხა, ვეჭვობ, დღეს რომ არჩევნები გაიმართოს, იგივე განმეორდეს...

ხალხთან ლაპარაკს ჭკუა და სიბრძნე სჭირდება და არა ხელკეტიანი პოლიციელების მისევა სოფლის წინააღმდეგ.

ესლა გვაკლია, სოფლებში ხელკეტები ვატრიალოთ.

ბატონო ნიკო, ბატონო ბადრი, გარწმუნებთ, იქ სიტუაცია ნამდვილად დაძაბულია, გთხოვთ, თქვენს დონეზე ჩაერიოთ.

შეხვდეთ მოსახლეობას, რაიონის ხელმძღვანელობას და ცივილიზირებული წესით მოაგვაროთ საკითხი.

როდესაც გამთენიისას სოფელს ნაგებობას უნგრევ, ჩუმად და ქურდულად, ნიშნავს თუ არა ეს, რომ არ გაქვს ხალხთან ლაპარაკის, ხალხის ამა თუ იმ ქმედებაში დარწმუნების ნიჭი და იძულებული ხარ ყაჩაღურად იმოქმედო, როგორც ეს სოფ.ყვიბისის სინამდვილეში მოხდა?

ვიმეორებ, იქ ისეთი ცოდვა-მადლი ტრიალებს, სიტუაცია რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ჩარევას ითხოვს. ვფიქრობ, არ იქნება ურიგო, ინფორმაცია მიიღოთ რაიონის დეპუტატისგანაც.

მე არ ვითხოვ დაჟინებით საკითხის ან ასე, ან ისე გადაწყვეტას, არამედ დაჟინებით გთხოვთ შეაჩეროთ პროცესი, რომელმაც მოსახლეობისა და პოლიციელების შეტაკება შეიძლება გამოიწვიოს და ეს იქნება არა მოსახლეობის, არა პოლიციელების, არამედ იმათი ბრალი, ვინც ბრძანებას იძლევა...

პატივისცემით
**ნოდარ გრიგალაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დევნილები საპროტესტო აქციებით იმუქრებიან

აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა საკოორდინაციო საბჭოს მიერ გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთი"-ს ლიდერმა გერმანე ფაცაციამ განაცხადა, რომ 8–9 აგვისტოს ჩატარებული დევნილთა ყრილობა ხელისუფლებისათვის გამაფრთხილებელი იყო და თუ ყრილობაზე წამოყენებული მოთხოვნები არ შესრულდება, დაიწყება მასიური საპროტესტო აქციები. ფრაქციის ლიდერი თვლის, რომ დაკარგული ტერიტორიები ნებისმიერი მეთოდებით უნდა დავიბრუნოთ.

ფრაქციის წევრის ბორის კაკუბავას თქმით, თუ ერთი თვის განმავლობაში ყრილობის მოთხოვნები არ შესრულდება, დევნილები ისევ ჩამოვლენ თბილისში და გაფრთხილებებიდან ქმედებებზე გადავლენ. მან აქვე გააფრთხილა საქართველოს ხელისუფლება, რომ თუ იგი არ გაიყვანს ქვეყნის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარებს, საკოორდინაციო საბჭო მთავრობისაგან წლის ბოლომდე თითოეულ ლტოლვილზე 25 ათასი დოლარის გადახდას მოითხოვს. (იფრინდა)

## სოცდემების პარტიული არქივი და დოკუმენტაცია საზღვარგარეთ გაიტანეს

ხელისუფლებისაგან დევნილი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური საბჭოს 1997 წლის 22 ივლისის საგანგებო სხდომის გადაწყვეტილებით, პარტიული არქივი და დოკუმენტაცია საზღვარგარეთ იქნა გატანილი. ამის შესახებ „იფრინდა"-ს სდპ-ს საინფორმაციო სამსახურმა აცნობა.

ამავე სხდომის გადაწყვეტილებით, პარტიაში ამოქმედდა 1925 წელს მიღებული წესდება, რომელიც საგანგებო მდგომარეობისათვის არის გათვლილი. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დაასრულეს თავიანთი საქმიანობის გარდაქმნა აღნიშნული წესდების მოთხოვნების შესაბამისად.

პარტიის პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, პარტიის თავმჯდომარეს გურამ მუჩაიძეს მიენიჭა საგანგებო უფლებები, ხოლო პარტიის მოსკოვის ბიუროს გადაეცა პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს მანდატი.

„იფრინდა"-ს კორესპონდენტს სოციალ-დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში აცნობეს, რომ პარტიის არქივისა და დოკუმენტაციის გატანის ადგილი საიდუმლოა. რაც შეეხება მოსკოვის ბიუროსათვის მანდატის გადაცემას, აღსანიშნავია, რომ მოსკოვის ბიუროს თავმჯდომარე უშიშროების ექს-მინისტრი იგორ გიორგაძეა, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტზე თავდასხმაში ედება ბრალი და უკვე 2 წელია, რაც იძებნება. (იფრინდა)

# სვანმა თუ დააშავა, ამბობენ, სვანებმა დააშავესო

## და სხვა აღმაშფოთებელი ფაქტების გამო

*საქართველოში უამრავ ანეკდოტებს შორის მიხოზე, ძუკუზე თუ ჭიჭიკიაზე ფრიად პოპულარულია სვანებზე ნათქვამი ხუმრობები, რომელთა შორისაც ერთ-ერთი ყველაზე „ფრთიანი" გამოთქმა დღესაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას – სასაცილოა თუ სატირალი: „სვანმა თქვა: ჩემი ნათესავების და ძმაკაცების ამბებს „ვიდეოპატრული-02"-დან ვგებულობო". რატომ გაჩნდა ტენდენცია, რომ სვანები მოწოდებით დამნაშავეები არიან? ამ კითხვაზე ყველაზე ლოგიკური გარდაბანში, 9 აგვისტოს გამართულ ხალხის შეკრებაზე ნათქვამი, სოფლის გამგებლის – ზაურ ზურაბიანის პასუხი ჩანს: მე რომ დანაშაული ჩავიდინო, ჩემზე კი არ იტყვიან, დამნაშავეაო, იტყვიან – სვანებმა ჩაიდინეს დანაშაულიო.*

*გარდაბანი ის რაიონია, სადაც სვანეთში დატრიალებული სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული სვანების ოჯახები ჩამოასახლეს. მთის მკაცრ პირობებს შეჩვეულები ბარში დასახლდნენ და ჩვეული შრომისმოყვარეობით მიწის დამუშავებასაც მიჰყვეს ხელი. საქონელიც მოამრავლეს, ადგილობრივ მაცხოვრებელ აზერბაიჯანელ მოსახლეობასთან კეთილმეზობლური ურთიერთობაც დაამყარეს და ერთი სიტყვით, ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა, ვიდრე... ერთ მშვენიერ დღეს, 9 აგვისტოს, მთელი რაიონის სვანმა მოსახლეობამ ერთად არ მოიყარა თავი და დიდი ხნის დაგუბებული რისხვა არ ამოხეთქა.*

*რა მოხდა?*

*კომენტარის გარეშე შემოგთავაზებთ იმ გამოსვლების ტექსტებს, რომლებიც გარდაბანში მოვისმინეთ.*

– თქვენი მობრძანების თხოვნა ჩვენგან არის უკანასკნელი თხოვნა და უკანასკნელი საშუალება. თუ ამის შემდეგაც საშველი არ იქნება, მერე ვნახოთ.. როდის იყვნენ სვანები სხვის ფეხქვეშ გასათელი, როდემდე უნდა ვიყოთ გათელილი მილიციისგან?!. ჩვენ მცირენი ვართ, აქ ჩამოგვასახლეს დაზარალებული ხალხი. მოსახლეობის უმრავლესობა აზერბაიჯანელია, რომლებთანაც ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს, პირიქით, ქმნიან ცუდ სიტუაციას ჩვენსა და მაგათ შორის. კონკრეტულად რა ხდება? ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ სვანური ქუდის დახურვას ვერ ვბედავ. მე ეს ქუდი არასოდეს შემირცხვენია, ის სინდის-ნამუსის სიმბოლო იყო, მაგრამ ატეხენ დებოშს და ჩვენი ახალგაზრდები მაგას ვერ აიტანენ..

დროზე მოგვეშველეთ, თორემ მერე უკვე გვიან იქნება... რას ვაპირებთ? მიგვიყვანეს იმ ზომამდე, რომ იარაღს ავიღებთ და მილიციას სროლასაც ვასწავლით და სიცოცხლესაც ვასწავლით, როგორ უნდა ასე სამარცხვინოდ როდემდე უნდა ვიყოთ..

– წარმოიშვა ასეთი ვერსიაც, რომ როდესაც არჩევნები მიდიოდა, ჩათვალეს, რომ სვანები მეორეხარისხოვანი ხალხი ვართ.. კი, ბატონო, თუ ერთმა პიროვნებამ დააშავა, ამით ხომ მთელ სვანეთს არ დაუშავებია. მაგათი თავაშვებულობის ერთ მაგალითს მოგიტანთ – ჩვენი სოფლის გამგებელს ზაურ ზურაბიანს მოკიდეს ხელი და ჩააგდეს მანქანაში. ეუბნება, რომ გამგებელია, მაგრამ არ აინტერესებთ, მთავარია – სვანია. თან დაიხვიეს ფრაზა – ჩვენს მიწა-წყალზე სვანები სტუმრად მიგვიღიაო. ჩვენს მიწა-წყალზე სასტუმრო როდის გვქონია გინდ აზერბაიჯანელის, გინდ ქართლელის, გინდ კახელის.. სვან კაცს ოდითგან მახეში ჰყოლია, ოდითგან ვიცით, კაცობა რა არის, ჩვენ ქუჩაში არაფერი არ გვისწავლია, აკვნიდან ვიცით ყველამ უფლის დაჯერება და შესრულება. ბატონმა სოსო კარანაძემ ეს ყველაფერი მშვენივრად იცის – დამატებითი მუხლები მარტო დღეს კი არ ვრცელდება სვანებზე. კომუნისტური პარტიის დროსაც ვრცელდებოდა „შემრიგებლური როლი". არაფისთან ჩვენ შესარიგებელი არა გვაქვს.

– რა ვუყოთ ამ ახალგაზრდებს? დღე და ღამე გამოსული ვართ – აბა, ბიჭებო, მოითმინეთ, გაჩნდება რაღაც საშველი, მოვა ვიღაცა, მოგვხედავენ, მაგრამ ეს, როგორც ითქვა, ბოლო სიტყვაა, ბოლო ღონისძიებაა ჩვენი, მერე კი უნდა ვთქვათ – ან თქვენ, ან ჩვენ! ვის აწყობს ეს, საინტერესოა, ვისთვისაა კარგი? გუშინ დაიჭირეს კიდევ ერთი სტუდენტი ბიჭი. მის ოჯახს მამაპაპიდან მოსდგამს კაცობა, ადამიანობა... სრულიად უდანაშაულო ბიჭი დგას ძმასთან ერთად, მოდიან, იჭერენ, ხელბორკილს ადებენ, სცემენ. რა კანონია ეს? საბოლოოდ, მილიციის ამ შემადგენლობასთან, ახლა რომ არის, ჩვენი ურთიერთობა არავითარ შემთხვევაში არ მოგვარდება. ჩვენთვის ისინი უკვე მტრები არიან. გადაიყვანონ, დააწინაურონ, მოგვაშორონ ბოლოს და ბოლოს... კახა ლაგვილავა ფულის საშოვნელად რომაა ზუგდიდიდან ჩამოსული, საომარი იქა აქვს, აქ ჩვენ რას გვეომება! რა ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს სოფელს, როცა ჩვენი არჩეული კაცი მოდის და როცა ახალგაზრდებს აწამებენ და სცემენ, ეუბნება: რას შერებით, ხალხო, რატომ აკეთებთ ამას, – გამგებე-



გაგრძელება მე-4 გვ.

# სააკაშვილი სკეპტიკურად აფასებს



საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარეს, მიხეილ სააკაშვილს მიაჩნია, რომ რუსეთის გააქტიურება აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, გამოწვეულია მისი სურვილით, „გამორიცხოს დასავლეთი კონფლიქტის მოწესრიგების პროცესიდან".

1 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა, ბორის ელცინმა განაცხადა, რომ აპირებს მოსკოვში მიიწვიოს ედუარდ შევარდნაძე და სოხუმის ლიდერი ვლადისლავ არძინბა, რათა „სერიოზულად ისაუბრონ" აფხაზეთის პრობლემაზე. ამ შეხვედრის მოსამზადებლად 14 აგვისტოს თბილისში ჩამოვა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი პრიმაკოვი, რომელიც სოჭში უკვე შეხვდა არძინბას.

„რუსეთი იმდენჯერ დაპირდა დევნილებს საკუთარ სახლებში დაბრუნებას, რომ მე ნაკლებად მჯერა მისი ახალი დაპირებების", – თქვა სააკაშვილმა.

მისი თქმით, საქართველომ „ხელი არ უნდა მოაწეროს მოსკოვში უმნიშვნელო დოკუმენტებს, რომლებშიც კონკრეტულად არაფერზეა საუბარი, ისევე, როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ უკვე მომზადებულ დოკუმენტში".

„ჩვენთვის მთავარია ისეთი რეალური მექანიზმის შექმნა, ანუ – ადმინისტრაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომელსაც დევნილები უპირობოდ მიენდობიან", – დასძინა სააკაშვილმა. (პრაიმ-ნიუსი)

## საქართველოს შეუწყდა ელექტროენერგიის მიწოდება

გუშინ, 14.00 საათზე მთელი საქართველოს მასშტაბით შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება. როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობეს დეპარტამენტ „საქენერგოში", ავარია მოხდა 500 კილოვატიან ქვესადგურზე „ქართლი-2".

თბილისში გაჩერდა ელექტროტრანსპორტი, მათ შორის, მეტრო. დენის მიუწოდებლობის გამო წყალსაქაჩებმა შეწყვიტეს სასმელი წყლის მიწოდება. ავარიის მიზეზები დგინდება. ქვეყნის ენერგოსისტემის მთლიანად აღსადგენად საჭიროა რამდენიმე დღე.

თბილისის მეტროპოლიტენის უფროსის, გურამ გაბუნიას ინფორმაციით, ერთდროულად გვირაბში გაჩერდა 10 მატარებელი, რომლებშიც, დაახლოებით, 5 ათასი ადამიანი იმყოფებოდა. ზოგიერთმა მგზავრმა საკუთარი ინიციატივით სცადა ვაგონებიდან გამოსვლა. ატეხილი აჟიოტაჟის შედეგად, სადგურ „ელექტროდეპოს" რაიონში დაშავდა ქალი.

მეტროპოლიტენისთვის ელექტროენერგიის მიწოდება განახლდა 14.25 სთ-ზე, მაგრამ მატარებლებმა ავარიიდან 1 საათისა და 15 წუთის შემდეგ დაიწყეს მოძრაობა. მერაბ გაბუნია ბრალს სდებს საქენერგოს მეტროპოლიტენისთვის „მატერიალური და სულიერი ზარალის მიყენებაში". (პრაიმ-ნიუსი)

## ტყიბულის თბოელექტროსადგურით ავსტრიელები დაინტერესდნენ

საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს ინფორმაციით, ტყიბულის რაიონში ქვანახშირზე მომუშავე 125 მგვტ სიმძლავრის თბოელექტროსადგურის მშენებლობით დაინტერესდა ავსტრიული ფირმა „ევრო ინვესტმენტ ბანკინგი".

„ევრო ინვესტმენტ ბანკინგი" აწარმოებს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და კერძო სტრუქტურებისათვის სესხებისა და კრედიტების ორგანიზებას. მისი მოღვაწეობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საფინანსო პროექტებისა და სტრუქტურების შექმნა და მომზადება, რათა მსხვილმა ბანკებმა შეძლონ პროექტების ფინანსირება.

ავსტრიულმა ფირმამ წარმატებით განახორციელა პროექტები ჩეხეთში, სლოვაკიასა და ხორვატიაში. ამჟამად „ევრო ინვესტმენტ ბანკინგი" მუშაობს, რათა ტყიბულის თბოელექტროსადგურის მშენებლობას გამოუჩნდეს დამფინანსებელი.

„ევრო ინვესტმენტ ბანკინგის" საქართველოში მოღვაწეობის მეორე მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს უცხოელი კლიენტების და საერთოდ უცხოური ბაზრის ორგანიზება ქართული კომპანიებისა და საწარმოების პროდუქციის ექსპორტისათვის, ასევე – ფინანსების მოზიდვა საქართველოს ეკონომიკაში ახალი ტექნოლოგიების დასანერგად.

აღნიშნული პროექტების რეალიზაციისათვის „ევრო ინვესტმენტ ბანკინგის" აქციონერებმა საქართველოში დააფუძნეს ახალი ორგანიზაცია „ჯორჯიან ექსპორტ კომპანი", რამაც აქციონერების აზრით, უნდა დააჩქაროს პროექტების წარმატებით განხორციელება. (პრაიმ-ნიუსი)

## სენატორთა დელეგაცია საქართველოში

საქართველოში ვიზიტად იმყოფება აშშ-ს სენატორთა დელეგაცია სენატორ ჯონ მაკკეინის ხელმძღვანელობით.

გუშინ დელეგაციის წევრები შეხვდნენ პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას და პარლამენტის წევრებს. ზ.ჟვანიამ მოკლე ისტორიული ექსკურსი გააკეთა საქართველოს შესახებ და აღნიშნა, რომ ქვეყნის კონსტიტუციის მიღება საერთო პოლიტიკური კონსენსუსის შედეგია. მან ისაუბრა ეკონომიკური ზრდის ტენდენციებზე. ზ.ჟვანიას თქმით, ამ მხრივ მნიშვნელოვანია ევროპა-აზიის სატრანსპორტო დამაკავშირებელი დერეფნის პროექტის განხორციელება. მუშავდება ასევე სხვა სახის ეკონომიური პროექტები.

შეეხო რა აფხაზეთის საკითხს, პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს არ არის საქართველოს ხელისუფლების და აფხაზ სეპარატისტთა პრობლემა. ეს ქართულ-რუსული ურთიერთობის პრობლემა უფროა. მანვე ისაუბრა რუსეთის როლზე აფხაზეთის კონფლიქტის განვითარების საკითხში და აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის კრიტიკულ დამოკიდებულებას აფხაზეთში რუსეთის საშუამავლო და სამშვიდობო ინიციატივების მიმართ, რეალური საფუძველი გააჩნია. მან იმედი გამოთქვა, რომ აშშ პოზიტიურ როლს შეასრულებს აღნიშნული კონფლიქტის დარეგულირებაში.

ამერიკელ სენატორთა აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ უპირველეს ყოვლისა ეკონომიკურ პრობლემებზე უნდა იზრუნოს, რადგან მზარდი ეკონომიკის ქვეყანაში სეპარატიზმი და სხვა ანტისახელმწიფოებრივი გამოვლინებები ფეხს ვერ იკიდებს.

გუშინ აშშ-ს საელჩოში პრეს-კონფერენცია გამართა ამერიკელ სენატორთა ჯგუფმა ჯონ მაკკეინის, ფილ გრემისა და კეი ბეილი ჰაჩინსონის შემადგენლობით.

როგორც პრეს-კონფერენციაზე აღინიშნა, პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და საგარეო საქმეთა მინისტრთან გუშინ გამართულ შეხვედრებზე მიღწეულია რამდენიმე შეთანხმება. სენატორთა თქმით, მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დემოკრატიული პროცესების მიმდინარეობამ საქართველოში, ასევე ახალგაზრდა კანონმდებელთა ჯგუფმა, რომლებიც მთელი მონდომებით მუშაობენ. სენატორებმა მხარდაჭერა აღუთქვეს საქართველოს ხელისუფლებას ყველა დონეზე, განსაკუთრებული ხაზი გაესვა ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობას. ითქვა, რომ მთავრობის სექტორში კერძო საკუთრების შექმნა ხელს შეუწყობს უცხოელ ინვესტორთა მოზიდვას. სენატორთა თქმით, აშშ-ს მცირე წვლილი მიუძღვის საქართველოში მიღწეულ წარმატებებში. მომავალში უფრო მეტად იქნება გათვალისწინებული გაცვლითი პროგრამები საგანმანათლებლო სფეროში. აღინიშნა, რომ სენატი გააორმაგებს თავის დახმარებებს.

საუბარი შეეხო რუსეთის შეიარაღებული ძალების საქართველოში ყოფნას. ამასთან დაკავშირებით ითქვა, რომ ეს რთული გადასაჭრელი პრობლემაა, თუმცა, სენატორებმა აქვე აღნიშნეს, რომ იციან რომ სულ მალე საქართველო შესძლებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, რაც მათივე თქმით, იმასაც ნიშნავს, რომ უცხო ქვეყნის ჯარები აქ აღარ იქნებიან. (იფრინდა)

---

# სვანმა თუ დააშავა, ამბობენ, სვანებმა დააშავესო

## და სხვა აღმაშფოთებელი ფაქტების გამო

მესამე გვერდიდან

ლი ხომ ვალდებულია, ჩაერიოს ამ საქმეში – სტაცეს ხელი და ცემა-ტყეპით შეაგდეს ოთახში! ამის შემდეგ ჩვენი ავტორიტეტი რამედ ღირს? ისე იჭერენ გამგებელს, როგორც ხულიგან ბიჭს.

– ჩემი სიძის – ზურა იოსელიანის ოჯახში ისეთი საშინელება მოაწყეს, არ ითქმევა – ბავშვის „კალიასკაში“ ჩაუდეს ასაფეთქებელი ნივთიერება და იმ დივანთან, სადაც ბავშვები თამაშობდნენ! ჩემმა შვილმა რომ დააპირა ბავშვის ჩასმა „კალიასკაში“, მაშინ შეშფოთდა ვაჟა თევზაძე... შედიან სახლებში, ყრიან ამ ასაფეთქებელ ნივთიერებებს, უდებენ ნარკოტიკებს და მერე გამოდიან ახალგაზრდები დამნაშავეები. კახა ლაგვილავა და ვაჟა თევზაძე არიან მთავარნი ამ საქმეში. რაც სოსო კარანაძე მოვიდა ჩვენს რაიონში მილიციის უფროსად, მას შემდეგ დაიწყო ასეთი ამბები. რამდენი ახალგაზრდა დაღუპეს!

– ეტყობა, ნებართვა აქვთ, თორემ ასეთ რაღაცას ვერ გაბედავდნენ. ყოფილა შემთხვევა, რომ დამუქრებიან – მე შენ დაგიჭერ და მართლაც აუსრულებიათ. ახალგაზრდები ერთად ვეღარ გროვდებიან – ეშინიათ. თუ რამე მოხდება, ყველაფერს სარჩულად უდებენ ერთ რამეს – სვანების ბრალია, დაანგრიეს, დააქციეს და შესაბამისად, ხალხის განწყობილებაც იცვლება. მრავალეროვანი რაიონია, ერთად ვცხოვრობთ, ერთად ვშრომობთ და კარგი ურთიერთობა გვაქვს. რატომ უნდა შეიქმნას ისეთი აზრი, რომ ჩვენ კაციჭამიები და საშინელებები ვართ. დანაშაულზე ჩვენ ყველანი პასუხისმგებლები ვართ, შვილზეც, ბიძაშვილზეც, მაგრამ აქ უდანაშაულობაზეა ლაპარაკი. მილიციის უფროსი ამბობს – სადაც ორ სვანს დაინახავთ, მე მომიყვანეთო. სადაც ვჭირდებით სვანები, იქ გვიყენებენ და როცა აღარ ვჭირდებით, ასე გვექცევიან. ჩვენ მთავრობის მადლობელი ვართ როცა რაიმე გასაჭირზე მივსულვართ – წყალზე ან სხვა რამეზე, ისინი გვეხმარებიან. პროკურატურაც ხომ აგერაა, არც ერთი არ არის პროკურატურის უმადური, თავის საქმეს კანონიერად აკეთებენ. რა გახდა ეს მილიცია ამ კარანაძის მოსვლის შემდეგ!

– ძმები იდგნენ ჭიშკართან. ძმა ძმას სთხოვდა – სახლში წავიდეთო, ცოტა ნასვამი იყო. გამოიარა მილიციის მანქანამ, გაჩერდა, მოკიდეს ხელი და დაუპირეს წაყვანა. სცემეს, ბორკილები დაადეს უდანაშაულო ბიჭებს... „სვანები კისრისტეხით უნდა გავყაროთო“ – იძახდნენ. რატომ უნდა გაგვყარონ, ვისთვის რა დაგვიშავებია. მოთმინების ფიალა აგვევსო. თუ ასე გაგრძელდა, ქალი, კაცი, ბავშვი ავიღებთ ხელში, რაც მოგვეხვედრება და თითო-თითოდ დავხოცავთ ამ მილიციელებს!

ზაურ ზურაბიანი, გამგებელი:

მივედი სოსო კარანაძესთან მეორე დღეს და ვეუბნები – ასე და ასე მომექცნენ წუხელ თქვენი თანამშრომლები-მეთქი. მერე რა გიკვირსო, – მითხრა. გავოგნდი. ეს თუ გასაკვირად აღარ მიაჩნია მილიციის უფროსს, რომ სოფლის არჩეულ კაცს ქუჩაში იჭერენ და ძალით მიათრევენ მილიციაში. მე ბრძანება გავეცი, რომ სქალაქ თოსხანიდან ... ქუჩაში, ყველა მოიყვანონ მილიციაში!“ რატომ, ბატონო პოლი... მეთქი? აიღო ვიღაც ყაჩაღობისთვის გაქცეული სვანის სურათი – ამან მესროლა და ამის გულისთვის არც ერთ სვანს არ დავინდობო. ძირითადი ტენდენცია ჩამოყალიბდა: სვანმა რომ დააშავა, იმას კი არ ამბობენ, რომ ვთქვათ, ზაურ ზურაბიანმა დააშავა რაღაცა, – აუ, სვანებმა რა ქნეს! ხალხს უნდა დაანახონ, რომ მე კი არა, სვანები არიან ასეთები. სპეციალურად აკეთებენ ამას, რომ სვანები ხალხს შეაძულონ და კიდევაც მიაღწიეს ამას. მე თანდათან ვრწმუნდები, რომ ეს არის ვიღაცის მიერ დაგეგმილი და დაპროგრამებული მოქმედება. თუ დღევანდელი შეხვედრითაც არაფერი გამოვიდა, უკანასკნელ ზომებს მივმართავთ, არის კანონი, წესი და დამნაშავეს აგებინონ პასუხი.

ამ შეკრებაზე მილიციის არც ხელმძღვანელობა, არც მუშაკები არ ყოფილან. მდგომარეობა უკვე ზღვრამდეა დაძაბული და როგორც მოსახლეობა აცხადებს, თუ ზემდგომი ორგანოები არ მიხედავენ რაიონის მილიციის თავაშვებულობას, სიტუაცია ათჯერ უფრო გამწვავდება. ვის აძლევს ხელს ეს ყოველივე? იქნებ მმართველობის უმაღლეს ეშელონებში დაფიქრდნენ ამაზე, სანამ საქართველოში დაძაბულობის კიდევ ერთი კერა შექმნილა.

**მარიამ ქავთარაძე**
**გარდაბანი – თბილისი**

---

# მიაქციეთ ყურადღება!

*ვბეჭდავთ „პრავდის“ (1997, 31.VII) ერთ პატარა, მაგრამ ტიპიურ წერილს, როგორსაც დღეს არაერთს იპოვით ცენზურისაგან განთავისუფლებულ და თავისი ქვეყნის ზრახვების შენიღბვაზე ხელაღებულ რუსულ პრესაში. გულუბრყვილო მოქალაქე, რომელსაც ჯერ კიდევ სჯერა, რომ აფხაზეთის – და არა მარტო აფხაზეთის, არამედ აგრეთვე ჩვენი მრავალი სხვა პრობლემის „გასაღები მოსკოვში დევს“, ნათლად დაინახავს, რას ფიქრობს რუსი ჟურნალისტი, რუსი მესაზღვრე, რუსი ოფიცერი და, რაც მთავარია, ისტორიის რეალური შემოქმედი – რიგითი რუსი ჩვენს ოდესღაც კოლონიურ ქვეყანასთან ურთიერთობის, მისი ტერიტორიის პატივისცემის და მისი სასურველი მომავლის შესახებ.*

ამოიწურა რუსების სამშვიდობო ჯარების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ყოფნის ოფიციალური ვადა. მართალია, თბილისმა მოწყალება მოიღო: სამშვიდობო ძალები ჯერჯერობით რჩებიან, მაგრამ მათი სტატუსი საეჭვოა. სამშვიდობო ძალების წასვლის შემთხვევაში აფხაზთა მხარე იძულებული იქნება, შევარდნაძის ჯარების ახალი შემოჭრის არდაშვების მიზნით განალაგოს ჯარები მდინარე ენგურის სანაპიროზე, სადაც გაიარა საზღვარმა ორ რესპუბლიკას შორის. მაგრამ თუ იქ აფხაზთა ქვეგანაყოფები შევლენ, ამას შეუძლია მოახდინოს ქართველი ეროვნების მოსახლეობის ერთი ნაწილის გალის რაიონიდან სამეგრელოში გაქცევის პროვოცირება. ამას შემდეგ ასე მიაჩნიათ რუსეთის სამხედრო დაზვერვის წარმომადგენლებს – პრაქტიკულად გარდაუვალი გახდება ომის განახლება.

როგორია ძალთა თანაფარდობა დაპირისპირებულ მხარეთა შორის? აფხაზთა არმიის შემადგენლობაშია ოთხნახევარი ათასი მეომარი და ოცდახუთი ათასი რეზერვისტი, ასზე მეტი ერთეული ჯავშანტექნიკა, ოთხმოცამდე ერთეული არტილერია, ექვსი საბრძოლო საავიაციო საშუალება და დაახლოებით ოცი საბრძოლო კატარღა. თავდაცვით ტაქტიკას თუ აირჩევენ, აფხაზები, ალბათ, შეძლებენ თბილისელი მმართველი ლაშქრის შეტევის შეჩერებას. გარდა ამისა, აფხაზთა დასახმარებლად მოვლენ შეიარაღებული მოხალისეები ჩრდილო კავკასიიდან. ყოველ შემთხვევაში, სოხუმში ნამყოფმა ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაე-ჩერქეზეთის, ადიღესა და კავკასიის ხალხთა კონფედერაციის წარმოგზავნილებმა აფხაზებს დახმარება აღუთქვეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეგიონში მყოფმა რუსმა მესაზღვრეებმა თუნდაც მიიღონ ბრძანება მოსკოვიდან საზღვრის გადაკეტვის შესახებ, ისინი ვერაფერს იღონებენ ამგვარი ბრძანების შესასრულებლად და ალბათ, არც მოინდომებენ. ამ სტრიქონების ავტორს მათგან ასეთი არგუმენტები აქვს მოსმენილი. პირველი: „ბოევიკები“, მათ შორის ისინიც, ვინც ამ ცოტა ხნის წინ ჩეჩნეთში საბრძოლო წრთობა გაიარა, ყველა შემთხვევაში შეეცდებიან შეიჭრან აფხაზეთში, მათი შეჩერების მცდელობა გამოიწვევს შეიარაღებულ შეტაკებებს რუსეთის ტერიტორიაზე, რუსების – როგორც სამხედროების, ასევე სამოქალაქოების დაღუპვას. მეორეს მხრივ, თუ ჩრდილოკავკასიელები შეიჭრებიან აფხაზეთში, საქართველოს განადგურება დროის საკითხილა იქნება.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ეს, რა თქმა უნდა, შეესაბამება რუსეთის ინტერესებს. ჩვენი ოფიცრების სიძულვილიც პირადად შევარდნაძის მიმართ იმდენად დიდია, რომ იძულებულს ხდის მათ სიმპათიით მოეკიდონ ყველას, ვინც კი მის წინააღმდეგ გამოდის. მისი ინტერესებისთვის სიკვდილი კი ჩვენი მესაზღვრეების აზრით, მხოლოდ შეშლილს შეუძლია. და ბოლოს, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს კორუფციის ფაქტორსაც, როგორც დავრწმუნდით, კონტრაბანდის ხაზი თურქეთი-აფხაზეთი-რუსის ფედერაცია, მიუხედავად ბლოკადისა, შეუფერხებლად მუშაობს და რუსეთის საზღვართან მოკალათებული კომერსანტებისთვის დიდი სარგებლობა მოაქვს.

მოხალისე ადიღებთან ერთად აფხაზეთში ელიან ჩეჩნებსაც. ამასთან, შევარდნაძის ფლირტი ოფიციალურ გროზნოსთან – აქ მაინც და მაინც დიდ შეშფოთებას არ იწვევს. აქცენტი კეთდება არა მასხადოვზე, არამედ მის პოლიტიკურ კონკურენტებზე – იანდარბიევზე, ბასაევზე, რადუევზე, ხოტაბაზე. რაც შეეხება ხოტაბას, მისი გარემოცვის წარმომადგენლების ნახვა ამას წინათ, თურმე შეიძლებოდა გალის მიდამოებში. კითხვაზე: „როგორ მოხვდით აქ?“ პასუხი იყო ცალსახა: „ვათვალიერებთ, სად მოგვიწევს ახლა ბრძოლა“.

აფხაზთა კიდევ ერთი პოტენციური მოკავშირე სამხრეთ ოსეთია. ოსების მოწინავე პოზიციებიდან ხუთი კილომეტრის დაშორებით გადის ნავთობსადენის ტრასა ბაქო-სუფსა, რომლითაც უნდა გადაიტუმბოს კასპიის ნავთობი. როგორც ბესლანში „პრავდა პიატ“-ის მიმომხილველს განუცხადეს ცხინვალელებმა, თუ საქართველო თავს დაესხმება აფხაზეთს, მაშინ ისინი „იმუშავებენ ნავთობსადენზე „გრადებით“. ხოლო კითხვაზე, საიდან აქვთ „გრადი“ – პასუხი იყო: „იმ გამყიდველობის ფონზე, რაც თქვენთანაა მოსკოვში, ატომური ბომბის ყიდვაც შეიძლება – საქმე ფასია“.

მთლიანობაში, ენგურის ნაპირებიდან ჩვენი სამშვიდობო ძალების გაყვანის შემთხვევაში რუსეთი დაკარგავს არა მხოლოდ ჯერ კიდევ მეგობრულად განწყობილ აფხაზეთს, არამედ დაკარგავს კონტროლს ჩრდილო კავკასიის მთელ დასავლეთ ნაწილზეც. და ეს მაშინ, როდესაც მისი აღმოსავლეთი ნაწილი – იჩქერია, ინგუშეთი და დაღესტანი – პრაქტიკულად უკვე ჩვენი არაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთელ რეგიონში ალბათ მალე იბატონებენ შეიარაღებული „ბოევიკები“, რომლებიც საბოლოო ჯამში ეყრდნობიან ჩეჩნებსა და თურქებს, რომლის დასწრებაც სოხუმში სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება მოსკოვისაგან იმედგაცრუების ზრდის კვალდაკვალ. მოსკოვისგან ახალი ღალატის მეტს, უკვე აღარას ელიან.

**ანტონ სურიკოვი**

## „სად შეიძლება გავასაჩივრო“

„თუ არ დამაკმაყოფილა სასამართლოს გადაწყვეტილებამ, სად შეიძლება გავასაჩივრო? არ არსებობს არც ქალაქის სასამართლო და არც საკასაციო ინსტანცია“ – განაცხადა შალვა რჩეულიშვილმა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას.

ამასთან დაკავშირებით, პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარემ, მიხეილ სააკაშვილმა გეა-ს განუმარტა: „ქალაქის სასამართლო არსებობს, ეს კარგადაა ცნობილი ნებისმიერი იურისტისთვის. უბრალოდ „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის გარდამავალ დებულებებში გაპარული იყო ტექნიკური ხარვეზი, რაც მალე გამოსწორდება“.

მისი თქმით, ეს არ ნიშნავს, რომ კომიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას, მაგრამ ქალაქის სასამართლოს გაუქმება არ ყოფილა კანონმდებლების სურვილი და განზრახვა.

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, მომავალი წლის პირველ ნახევრამდე, სანამ არ შეიქმნება ახალი სასამართლო სისტემა, ძალაში დარჩება არსებული. (გეა)

## აღდგენილია რეაქტორი

პროგრამა „ენერგეტიკა II“-ის შესრულებას თბილსრესის რეაქტორის რეაბილიტაცია აკლდა. ამჟამად აღდგენილი რეაქტორი მოსკოვის ელექტროტექნიკური ქარხნიდან მიღებულია და უახლოეს დღეებში დამონტაჟდება, რის შემდეგაც აღნიშნული პროგრამა მთლიანად დასრულდება.

მიმდინარე თვეში ასევე დაგეგმილია პროგრამა „ენერგეტიკა III“-ის დასრულება. ყველა მოწყობილობა უკვე გაშვებულია ექსპლუატაციაში და მიმდინარეობს უმნიშვნელო დეფექტების ლიკვიდაცია. ამით ელექტროენერგიის გადაცემის და განაწილების საიმედოობა ამაღლდება. ორივე პროგრამა ენერგოსისტემის საკვანძო ქვესადგურების: „ქსანი-500“, „ზესტაფონი-500“, „ნავთლუღი-220“, „გლდანი-220“, „ლისი-220“ რეაბილიტაციას ეხებოდა. (გეა)

## ხორბალი მთლიანად გაიყიდა

12 აგვისტოს თბილისის მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟაზე პირველად იქნა გამოტანილი საფრანგეთის მიერ მოწოდებული 4 ათასი ტონა ხორბალი, რომელიც საფრანგეთის ხელისუფლებამ საქართველოს ჰუმანიტარული დახმარების სახით გამოუგზავნა.

ხორბლის სასტარტო ფასი იყო 1 ტონაზე 271 ლარი და 56 თეთრი, ანუ 211 აშშ დოლარი (თავდაპირველი ღირებულება იყო 165 დოლარი, რასაც დაემატა ფოთამდე ტრანსპორტირებისა და შენახვის თანხები). ხორბალი გაიყიდა პარტიებად ათასი ტონიდან რამდენიმე ასეულ ათას ტონამდე.

ერთი დღის განმავლობაში გამოტანილი ხორბალი თითქმის მთლიანად გაიყიდა. თბილისის, რუსთავის, ქუთაისის და ქსანის საწყობებში მხოლოდ რამდენიმე ტონაღა დარჩა.

ბირჟის გენერალურმა დირექტორმა თემურ ხორხომელიძემ გეა-ს კორესპონდენტს განუცხადა, რომ იმის მიუხედავად, რომ ხორბლის იმპორტზე გადასახადი არ არის დაწესებული, ბოლო დროს საქართველოში ხორბალი ცოტა შემოდის. ამით აიხსნება დიდი მოთხოვნილება ფრანგულ ხორბალზე. (გეა)

# დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს აშენებისათვის სერიოზული ფსიქოლოგიური ძვრებია საჭირო

მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაშია საქართველო. უიმედობითა და ტრაგიკულობით ხასიათდება ჩვენი ყოფა. ხალხს დეპრესია დაემართა. საკვირველი ვითარება შეიქმნა. ეს კარგად გამოხატა ჩემმა გერმანელმა კოლეგამ, რომელიც ცოტა ხნის წინ გვეწვია. მან თქვა, „ქვეყნები, რომელნიც დამოუკიდებელნი და თავისუფალნი ხდებიან, ეკონომიკური და კულტურული განვითარების სასწაულებს გვიჩვენებენ. აყვავდა ტაილანდი, სამხრეთ კორეა, სინგაპური, გერმანია, ფინეთი, დანია და სხვა ქვეყანა. ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ხდებოდა ეროვნული ენერგიის ამოფრქვევა და ქვეყნის აყვავება, რა დაგემართათ თქვენ, ქართველებს? რატომ არ იწყებთ ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობას? რა უშლის ხელს თქვენ ინტენსიურ განვითარებას? მე თქვენ გიცნობთ, როგორც ინიციატიურ, ნიჭიერ და ენერგიულ ერს, რითია გამოწვეული თქვენი ნევროტული მდგომარეობა და დეპრესია?“.

თავიდან ამ საკითხებს სერიოზულად ვერ მოვეკიდე. მე ჩემს კოლეგას მოვუყევი იმ სიძნელეების შესახებ, რომელთა წინაშე ცხოვრების სისტემის შეცვლის გამო დგას ჩვენი ხალხი. მაგრამ შემდგომში ჩემთვის ნათელი გახდა, რომ მე მის მიერ დასმულ კითხვებზე არ მიპასუხია. არ გამიცნობიერებია ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია ჩვენი ხალხის უიმედობა, სასოწარკვეთილება და დეპრესია. რის გამო ერი აღარაფერს აკეთებს ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული მშენებლობისათვის. უკვე კარგა ხანია თან მდევენ ეს საკითხები და პასუხს მოითხოვენ.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მართლაც უდიდესი ცვლილებები მოხდა. დაინგრა რუსეთის იმპერია, ორასი წლის მონობიდან განვთავისუფლდით, საქართველო დამოუკიდებელ ქვეყანად ითვლება, იგი მიიღეს დამოუკიდებელ ერთა ოჯახში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები გავხდით. ასეთივე ბედნიერებას ეწვია საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიც. ჩვენს მდგომარეობას სხვა რესპუბლიკების დამოუკიდებლობაც ამაგრებს. არც ისე ადვილია ყველას ისევ რუსეთის ლობის შიგნით შერეკვა. საქართველოს გაუჩნდა შანსი იქცეს დამოუკიდებელ, ეროვნულ სახელმწიფოდ. ამაზე ოცნებობდა ჩვენი წინაპარი, ამაზე ვოცნებობთ ჩვენც.

მაგრამ საკვირველია, რომ ჩვენ ეს ამბავი სულაც არ გვიხარია, სად არის ბედნიერების განცდა, რომელიც ერს დამოუკიდებლობის მოპოვების დროს ეუფლება, როცა იწყება თავდადებული, დაუღალავი მუშაობა ქვეყნის აყვავებისათვის. ამის მაგიერ ჩვენ სასოწარკვეთილება და დეპრესია დაგვეუფლა.

ჩვენი ქვეყნის დეპრესიულ მდგომარეობაზე ლაპარაკის დროს, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მძიმე ეკონომიკური ვითარება იქცევს ყურადღებას. მდიდრების მცირე ჯგუფი კიდევ უფრო გამდიდრდა, ღარიბების უდიდესი მასა კიდევ უფრო გაღარიბდა. ხალხს არა აქვს იმდენი ხელფასი, რომ ყველა გადასახადი გადაიხადოს. ბევრს მათხოვრობით, ნაგვის ქექვით და საეჭვო მორალური საქმიანობით გააქვს თავი. განსაკუთრებით ინტელიგენციას გაუჭირდა. განათლებამ, მეცნიერებამ, ცოდნამ დაკარგა ფასი. ერთი კია, გაიწმინდა ინტელიგენცია. მისი რიგებიდან წავიდა ხალხი, ვინც მასში საშოვრად იყო მოსული. ამის წინ ერთმა მხატვარმა თქვა: „რა ვქნა, არ იყიდება სურათები, მაგრამ მაინც ვმუშაობ, ჩემს საუკეთესო სურათებს მხოლოდ ახლა ვხატავო“. ასეთსავე ვითარებაშია ბევრი მეცნიერი, მათი შრომის ანაზღაურება სიმბოლურია ისინი ღატაკები არიან.

განსაკუთრებით სკოლის მასწავლებლებს უჭირთ. მოიშალა სწავლებისა და აღზრდის საქმე. ბავშვები სკოლაში თითქმის აღარაფერს სწავლობენ, აღზრდაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. მოსწავლეებმა კარგად იციან, რომ მათი მასწავლებლები შიმშილობენ, გაფიცვებს აწყობენ კუთვნილი ხელფასის მოსაპოვებლად. ასეთი მასწავლებელი მოსწავლისათვის ველარ გამოდგება მისაბაძ პიროვნებად. მალე ჩვენ კიდევ უფრო კარგად მივხვდებით, თუ რა ტრაგიკულ მდგომარეობაში ვართ დღეს, ეს მაშინ გახდება ნათელი, როცა დღევანდელი მოწაფეები ცხოვრების არენაზე გამოვლენ. მუშებსა და პენსიონერებზე კიდევ უფრო ძნელია ლაპარაკი. ვერც სტაბილიზაციის შესახებ ლაპარაკი ამსუბუქებს მდგომარეობას, რადგან ფაქტობრივად გაჭირვებისა და უსახსრობის სტაბილიზაცია მოხდა.

აქტიური და ინტელექტუალური ხალხის დიდი ნაწილი, ვისაც არავითარი ხელისშეწყობა არა აქვს, რომ წარმოება და კომერციული საქმიანობა განავითაროს, სხვა ქვეყნებში წავიდა სამუშაოდ. ჩვენს ქვეყანაში წესიერი საქმიანობით შეუძლებელია თავის რჩენა.

ადრე, ჩემი თაობის დიდი ნაწილი, ვინც ოფიციალური იდეოლოგიის საპირისპიროდ, ეროვნული ორიენტაციის საფუძველზე იდგა, ფიქრობდა, რომ ჩვენი ხალხი ყოველგვარ გაჭირვებას აიტანს, ოღონდ ეღირსოს საქართველოს დამოუკიდებლობა. დარწმუნებული ვიყავით, რომ დამოუკიდებლობა უდიდეს ბედნიერებას მოიტანდა. და აჰა, გვეღირსა დამოუკიდებლობა. დაინგრა რუსეთის იმპერია და ჩვენ თითქოს დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ, მაგრამ სამწუხაროდ დღეს სულაც არ განვიცდით სიხარულსა და ბედნიერებას. დამოუკიდებლობას სულაც არ მოყვა ეროვნული ენერგიის ამოფრქვევა. საკვირველია და არაბუნებრივი ჩვენი დეპრესია და სასოწარკვეთა, რადგან სულაც არ იყო მოულოდნელი, რომ დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყნის აშენების დროს დიდი დაძაბულობისა და მატერიალური გაჭირვების გადატანა მოგვიხდებოდა. გარდა ამისა, ჩვენი ხალხი მიჩვეულია გაჭირვების ატანას. მან ადრე მრავალჯერ ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობა გადაიტანა. გავიხსენოთ საზარელი 30-იანი წლები, თავისი ეკონომიკური გაჭირვებით და დეპრესიებით, ომის პერიოდი: პურის წიგნაკები, შიმშილობა, სიცივე და სხვა მრავალი გაჭირვება. მაგრამ მაშინ ხალხს ჰქონდა რაღაცის იმედი, არ იყო ასეთი უიმედობა, დეპრესია.

ჩვენი მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა საშინელმა სამოქალაქო ომმა, ერთმანეთის მიმართ შინაგანმა მტრობამ და სიძულვილმა, რაც ხელისუფლების განაწილების დროს გამოვიჩინეთ. მოგვეჩვენა რა თავი დამოუკიდებელ ქვეყნად, მაშინვე დავიწყეთ პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა, დავერიეთ ერთმანეთს, დავანგრიეთ ქალაქი, დავხოცეთ ერთმანეთი. ამან საზოგადოების გარკვეულ წრეში გააჩინა საერთოდ ქართველების მიმართ უარყოფითი განწყობა. გავრცელდა აზრი, რომ როდესაც ქვეყანა დამოუკიდებელი ხდება, მაშინ მჟღავნდება ხალხის ბუნება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ბევრის აზრით, გამოირკვა, რომ „ჩვენ ძალიან ცუდი ხალხი ვართ“. ამიტომ, „ჩვენ არა ვართ თავისუფლების ღირსი“. ბევრმა დღევანდელი სიძნელეების ფონზე გარკვეული სიმპათიით ძველი დრო გაიხსენა. დაიწყეს იმის მტკიცება, რომ ადრე ძალიან კარგ პირობებში ვცხოვრობდით. რუსეთისაგან გამოყოფამ კი უბედურება მოგვიტანა და დაგვანახა, რომ „ქართველები ცუდი ხალხი ვართ“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ხალხს თავისადმი უარყოფითი დამოკიდებულების შემუშავებაში გარკვეულმა ფსიქოლოგიურმა მექანიზმმაც შეუწყო ხელი.

ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ადამიანები თავისა და სხვისი ქცევების გამომწვევ მიზეზებად სხვადასხვა მოვლენებს თვლიან. ამ ფენომენს „მიზეზის ატრიბუციას“ უწოდებენ. მაგალითად, ზოგი სტუდენტი გამოცდაზე თავის ჩაჭრის მიზეზად გამომცდელს თვლის, რადგან ფიქრობს, რომ გამომცდელი არაობიექტური იყო მის მიმართ. ზოგ სტუდენტს კი ისეთსავე ვითარებაში ჩაჭრის მიზეზად თავისი მოუმზადებლობა მიაჩნია. ვითარების ასეთი სხვადასხვაგვარი შეფასება განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სტუდენტის შემდგომ საქმიანობაზე. თუ სტუდენტი თავისთავს აბრალებს ჩაჭრას, იგი უკეთესად მოემზადება, ხოლო ჩაჭრის მიზეზად თუ ლექტორის მისდამი უარყოფითი დამოკიდებულება მიაჩნია, იგი ეცდება როგორმე ლექტორის მისდამი დამოკიდებულება შეცვალოს, იშოვოს პროტექტორი, ჩააწყოს საქმე და ისე გაიდეს ფონს. ისიც ცნობილია, რომ ადამიანი თავისი წარმატების მიზეზად უფრო ხშირად თავის უნარებსა და ძალებს თვლის, წარუმატებლობის მიზეზებს კი გარეთ ეძებს, სხვებს აწერს.

მაგრამ არის განსაკუთრებული ვითარებები, როცა ინდივიდი თავისი უბედურების მიზეზს სხვას ვერ აწერს და იძულებულია ამის მიზეზი თავის თავში ეძიოს. ამ დროს ის თვითკრიტიკული ხდება. სწორედ ამ მექანიზმმა ითამაშა გარკვეული როლი ჩვენი ხალხის თვითშეფასებაში.

რუსეთის იმპერიაში ყოფნის დროს ქართველები თავის ყოველ წარუმატებლობას რუსეთს აწერდნენ, თავისი ყოველი წარმატების მიზეზად საკუთარ ნიჭიერებასა და უნარებს თვლიდნენ. ჩვენი წარმატებანი ხელოვნებაში, თეატრში, კინოში, პოეზიაში და სპორტში ეროვნული ნიჭითა და უნარებით იხსნებოდა. ჩვენ რაშიც ჩავარდნები გვქონდა, ეს ყველაფერი რუსეთს ბრალდებოდა. ამიტომ ქართველებს ერთგვარი გადამეტებული შეხედულება შეგვექმნა ჩვენი თავის მიმართ. ამ დროს გაჩნდა ერთგვარი იუმორით შეფერილი, მაგრამ მაინც სიამაყით ნათქვამი გამოთქმები: „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“, „საქართველოს თავისი ინტელექტუალობის გამო შეუძლია მოამარაგოს მთელი მსოფლიოს ქვეყნები პრეზიდენტებითა და სახელმწიფო მეთაურებით“. დღეს კი, როცა რუსეთს გამოვეყავით და ძნელია ჩვენი უბედურება სხვას მივაწეროთ, ჩვენში გაჩნდა იმის აზრი, რომ ჩვენი უბედურების მიზეზი ჩვენშია, რომ „ქართველები ცუდი ხალხი ვართ“, „ღირსი ვართ ყოველივე იმისა, რაც დაგვემართა“. ამ აზრების გამტკიცებას ხელისუფლებამაც შეუწყო ხელი. იგი ყოველი ძალით ცდილობს ჩვენს ეკონომიკურ გაჭირვებაში, აფხაზეთისა და ოსეთის ტრაგედიაში, ტერორიზმსა და დესტაბილიზაციაში რუსეთის დანაშაული შეამციროს, გაზარდოს წინა ეროვნული ხელისუფლების, პროვინციელი ფაშისტების შეცდომები და დანაშაული, რასაც თან სდევს ჩვენი თავის მიმართ უარყოფითი განწყობის ფორმირება და გაძლიერება.

ყოველივე ამის შესახებ მე მოვუყევი ჩემს გერმანელ კოლეგას და მე მეგონა, რომ ავუხსენი, თუ რატომ ვერ ვმუშაობთ საჭიროებისამებრ, რატომ ჩაგვიქრა ენთუზიაზმი და რატომ ვერ ავაყვავეთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა და კულტურა. მაგრამ როგორც შემდეგ მივხვდი, იგი სწორედ იმას მეკითხებოდა, თუ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რატომ დაგვემართა დეპრესია, რატომ დავუძლურდით ეკონომიკურად, რატომ დავჭამეთ ერთმანეთი, რატომ გაგვიჩნდა მკვეთრი უარყოფითი განწყობა ჩვენი თავის მიმართ და რატომ დავანგრიეთ ქვეყანა. ჩემი გერმანელი კოლეგა, ბატონი კუსმანი დარწმუნებული იყო, რომ ისეთ ენერგიულ და ნიჭიერ ერს, როგორიც ჩვენ, ქართველები, ვართ, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების პირობებში სწრაფად უნდა აგვეყვავებინა ჩვენი ქვეყანა. მას სწორედ ის უკვირდა, რომ დამოუკიდებელი საქართველო რატომ არის დეპრესიაში, რატომ შეგვემუშავდა ჩვენი თავის შესახებ უარყოფითი განწყობა, რატომ დავჭამეთ ერთმანეთი, რატომ არ წარვმართეთ ჩვენი ფიზიკური და სულიერი ძალები ქვეყნის ასაშენებლად და გასავითარებლად.

ჩემი ნაცნობების წრეში ამ საკითხების გარჩევის დროს მოვისმინე აზრები, რომლებმაც მაიძულეს სულ სხვა მიმართულებით მეძებნა ამ კითხვების პასუხი. ერთ-ერთი აზრი ასეთი იყო: „ქვეყანა როცა დამოუკიდებელი ხდება, მართლაც იწყებს სწრაფ განვითარებას და აყვავებას, მაგრამ რატომ ფიქრობთ, რომ საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი ქვეყანა გახდა? ფაქტობრივად, საქართველო დღესაც დამოკიდებული და დამონებული ქვეყანაა და მას არ შეუძლია თავისი ძალები მოახმაროს ქვეყნის აღმშენებლობასა და განვითარებას“.

მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ ამ შემაძრწუნებელი დებულების შემოწმება. ჩვენ დავიწყეთ გამოკვლევა არა იმისა, თუ ფაქტობრივად და იურიდიულად რამდენად დამოუკიდებელი და თავისუფალია ჩვენი ქვეყანა, არამედ შევისწავლეთ საკითხი, განიცდის და თვლის ჩვენი ხალხი საქართველოს დამოუკიდებელ და თავისუფალ ქვეყანად თუ არა. ასეთი ემპირიული საკითხის კვლევას თავისი წესები და მოთხოვნები აქვს. ჩვენ მათი სრული დაცვით გამოვიკვლიეთ ჩვენი ხალხის შეხედულებები და განწყობები ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შესახებ. ჩვენ მოგვაქვს შედეგები, რომლებიც სანდოობის მაღალი დონით ხასიათდებიან. გამოკვლეული იყო თბილისის მოსახლეობის მრავალი ფენა. გამოკითხულების 57% თვლის, რომ საქართველო არ არის დამოუკიდებელი ქვეყანა, 16% პასუხობს, რომ დამოუკიდებელი ქვეყანაა, დანარჩენი ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს ვერა სცემს.

**შოთა ნადირაშვილი**

გაგრძელება იქნება

წიგნიდან „ხელი და ძალაუფლება“

# ავტომატის ჯერი წარსულიდან

## ფილიპ ბობკოვი

16 დეკემბერს, დილით, მოედანზე დაიწყო სტუდენტთა თავმოყრა. ყველა ლოზუნგი კოლბინის გადადგომას მოითხოვდა. ყველას უნდოდა პირველი მდივნის თანამდებობაზე ყაზახი ეხილა. ასახელებდნენ კონკრეტულ კანდიდატებს. თავშეყრილთა წინაშე რესპუბლიკის ხელმძღვანელობის რამდენიმე წარმომადგენელი გამოვიდა სიტყვით, ცდილობდნენ როგორმე დაეწყნარებინათ ხალხი, მაგრამ ყოველი ცდა უშედეგო იყო.

მდგომარეობა სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. გამოჩნდნენ ისეთი ორატორებიც, რომლებიც აბობოქრებულ მასას ექსტრემისტულ სულისკვეთებას უნერგავდნენ და ცკ-ს შენობის შტურმისაკენ მოუწოდებდნენ.

უწესრიგობათა თავიდან აცილების მიზნით მოედანზე მოხმობილ იქნა შინაგანი ჯარები, ხოლო თვით ცკ-ს შენობას სასაზღვრო სასწავლებლის კურსანტები იცავდნენ. ჯარისკაცებს არ ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი.

ხალხის დაშოშმინების მცდელობას არავითარი შედეგი არ მოჰყვა, სამაგიეროდ ექსტრემისტების მოწოდებები აღმოჩნდა ეფექტური. მოედანზე თავშეყრილი ხალხი ყვირილით წამოვიდა ცკ-ს შენობის შტურმზე, ცდილობდნენ გზიდან ჩამოეცილებინათ ჯარისკაცთა, მილიციისა და კურსანტთა რიგები. გაჩაღდა ხელჩართული ბრძოლა.

თავაშვებულმა ხულიგნებმა ცეცხლი წაუკიდეს რამდენიმე ავტომანქანას. თავდამსხმელთა რაოდენობა იზრდებოდა. გამოჩნდნენ პირველი დაჭრილები ორივე მხრიდან. მხეცურად მოკლეს ადგილობრივი ტელევიზიის რაზმელი. მე ვნახე ამ მოვლენის ვიდეოჩანაწერი და გამაოცა ბრბოს დაუნდობლობამ. აქ უნდა ითქვას, რომ შემდეგ დახოცილთა რიცხვი სხვადასხვაგვარად გამოცხადდა. ხშირად ასობით ადამიანს ითვლიდნენ მიცვალებულებში. მე მინდა ოფიციალურად განვაცხადო: აღწერილი მოვლენების დროს დაიღუპა სამი ადამიანი. გარდა იმისა, ვინც დავასახელე, დაიღუპა თექვსმეტი წლის რუსი ბიჭი, რომელსაც ავტობუსში გაუყარეს დანა. მოედნიდან საკმაოდ შორს მესამე ყაზახი იყო, რომელიც მოედანზე ჩხუბობდა და სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

ჩვენი კომისიის პირველი ამოცანა იყო ქალაქში წესრიგის დამყარება. ეს კი მხოლოდ თვითონ ხალხს შეეძლო. ამიტომაც დაჟინებით მოვითხოვდით, რომ სახალხო რაზმელები გამოსულიყვნენ ქუჩაში. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა კი არმიის იმედად იყო. ჩვენ არ გვინდოდა, რომ ჯარი ხალხის წინააღმდეგ გამოსულიყო.

კიდევ ერთი დეტალი დამამახსოვრდა. ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ უწესრიგობათა მთავარი წამომწყები იყო ოლჟას სულეიმენოვი. ბრბო მართლაც ითხოვდა მის გამოსვლას, მაგრამ, როდესაც მე ვკითხე ყაზახ მეგობრებს მის შესახებ, კამალიტდინოვმა მიპასუხა, რომ იგი ქალაქიდან გასული იყო. გვიან გამომჟღავნდა, რომ სულეიმანოვი ქალაქში იყო, გამოსვლაც უნდოდა, მაგრამ მას ამის საშუალება არ მისცეს.

მოვლენათა ხასიათს ეროვნებათაშორის კონფლიქტისაკენ მივყავდით: ცკ-ს შენობას ხომ რუსი ჯარისკაცები იცავდნენ, ხოლო თავდამსხმელები ძირითადად ყაზახები იყვნენ. მხოლოდ რუსებისაგან შედგენილი რაზმები გამოჩნდნენ ქუჩაში. ისევ არმიის გამოყენება გახდა საჭირო.

ჩვენ მოვახსენეთ ყველაფერი სკკპ ცკ-ს მდივანს რაზუმოვსკის და ვთხოვეთ მას, მოთათბირებოდა კუნაევს, რათა ამ უკანასკნელს თავისი ავტორიტეტის გამოყენებით ეცადა ხალხის დაშოშმინება. მალე ჩვენ მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ გორბაჩოვს უსაუბრია კუნაევთან ამ თემაზე. სამხედრო ოპერაცია 18 საათისათვის გვქონდა დაგეგმილი. გადავწყვიტეთ, ერთი საათი კიდევ მოგვეცადა. გავიდა საათი. ახლა ნახევარი საათით მოვინდომეთ ოპერაციის გადადება.

ჩვენდა გასაოცრად ამ ნახევარი საათის გასვლის შემდეგ მოედანზე დემონსტრანტები აღარ იყვნენ. რა მოხდა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც მაშინ და არც შემდეგ ვერავინ შეძლო.

ყოველ შემთხვევაში, მოვლენებს რომ ვიღაც მართავდა, ეჭვს არ იწვევდა. და ეს „ვიღაც“ რესპუბლიკის ხელმძღვანელობიდან იყო.

მეორე დღეს სოლომენცევი და კოლბინი დადიოდნენ სხვადასხვა საწარმოში და ხვდებოდნენ ხალხს. ყველგან ერთი და იგივე ისმოდა: „რესპუბლიკაში წესრიგი უნდა დამყარდეს. ჩვენ აქ ძმებივით ვცხოვრობთ. არაფერი გასაყოფი არა გვაქვს. რაც მოხდა, ეს ყველაფერი მაფიოზური სტრუქტურების, კორუმპირებული ჩინოვნიკებისა და კრიმინალური ელემენტების მიერ არის ინსპირირებული, იმათი, ვისაც ეშინოდა, რომ კოლბინის მოსვლის შემდეგ კუნაევის დროს მოპოვებულ პრივილეგიებს დაჰკარგავდნენ“.

პარტიული აქტივის რეაქცია ალმა-ათის მოვლენების შესახებ საკმაოდ ინერტული გახლდათ. ბევრი თვლიდა, რომ დემონსტრანტებს ძალისმიერი მეთოდებით უნდა გასწორებოდნენ.

იმასაც ახსენებდნენ, რომ ეს გამოსვლები ყაზახეთის დამოუკიდებლობის მოთხოვნებით მიმდინარეობდა. მე, როგორც ამ მოვლენების მონაწილეს, შემიძლია ვთქვა: არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა.

მახსოვს ალექსანდრე ნიკოლოზის ძე იაკოვლევის მიერ ამ მოვლენების შეფასება: „ყაზახეთის მოვლენები არის ავტომატის ჯერი წარსულიდან“.

ის, რაც ყაზახეთში მოხდა, სკკპ ცკ-ს წინდაუხედავი გადაწყვეტილების შედეგი იყო. მოსკოვში რატომღაც გადაწყვიტეს, რომ ყაზახეთის პარტიის ცკ-ს სათავეში რუსი უნდა ყოფილიყო. აქ ალბათ, მთავარი როლი ითამაშა იმან, რომ კუნაევი ბრეჟნევთან დაახლოებული ადამიანი იყო, რაც გორბაჩოვის გუნდში საკმაოდ არაპოპულარულად ჟღერდა.

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №48-80.

გაგრძელება იქნება

### «საქართველო და ჩეჩნეთი სტრატეგიული პარტნიორები გახდებიან»

თბილისიდან გროზნოში დაბრუნებულმა იჩქერიის რესპუბლიკის მთავრობის პირველმა ვიცე-პრემიერმა, ახმედ ზაკაევმა განაცხადა, რომ საქართველო და ჩეჩნეთი სტრატეგიული პარტნიორები გახდებიან, რაც ორი ქვეყნის პრეზიდენტის მიერ ქვეყანათა შორის ურთიერთობების განმსაზღვრელი ხელშეკრულების ხელმოწერაში აისახება.

ზაკაევის თქმით, სავარაუდოა, რომ საქართველოში ვიზიტის დროს პრეზიდენტი ასლან მასხადოვი აფხაზეთის ლიდერს, ვლადისლავ არძინბასაც შეხვდება.

„აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში ჩეჩნეთს დადებითი როლის შესრულება შეუძლია. აუცილებელია ამ კონფლიქტის ლოკალიზება და მას გაღვივების საშუალება არ უნდა მიეცეს“ – განაცხადა ახმედ ზაკაევმა. (გეა)

### ყოფილი სიკვდილმისჯილებისთვის დასაჯდომი ადგილი გამოინახა

11 აგვისტოს ორთაჭალის ციხეს ეწვივნენ რუსუდან ბერიძე, დემურ მიქაძე და გივი ყვარელაშვილი თანმხლებ პირებთან ერთად. მათ შეამოწმეს ერთ-ერთი კორპუსის მესამე სართულზე განლაგებული, ახლადგარემონტებული საკნები. ისინი გათვალისწინებულია იმ 54 სიკვდილმისჯილი პატიმრისათვის, რომლებიც ამას წინათ შეიწყალეს. რუსუდან ბერიძემ განაცხადა, რომ საკნები ყველა სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნას აკმაყოფილებს. პატიმრებს ექნებათ ჰაერზე სეირნობის საშუალებაც. რაც შეეხება საგარეჯოს განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიას, იქ მხოლოდ 30 ადგილია და ყველა დაკავებულია. ამიტომ პენიტენციალური სისტემის უფროსის, გივი ყვარელაშვილის, გადაწყვეტილება – ორთაჭალის ციხის კორპუსს ჩაუტარდეს რემონტი და გაკეთდეს შესაბამისი რეკონსტრუქცია, პრობლემის ერთადერთი, შესაძლო გამოსავალია.

ქალბატონ რუსუდანს ჯაბა იოსელიანის შესახებ ვკითხეთ. მან თქვა: ჯ. იოსელიანი შიმშილობს, რადგან მიაჩნია, რომ საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მისი უკანონოდ დაკავების შესახებ, რადგან იმ დროს იოსელიანი დეპუტატობის კანდიდატის ხელშეუხებლობის იმუნიტეტით სარგებლობდა, არავის არ გაუუქმებია და ამიტომ ითხოვს გათავისუფლებას. ჯაბა იოსელიანს და არც სხვა მე-5 კორპუსში მყოფ განსასჯელებს ადმინისტრაციის მიმართ არავითარი პრეტენზია არა აქვთ. მხოლოდ გოჩა გელაშვილმა მოითხოვა ავადმყოფობის გამო საავადმყოფოში გადაყვანა, რაც სპეციალური კომისიის თანხმობის შემთხვევაში შესრულებული იქნება.

მანანა იაშვილი

### ოთხმხრივი შეხვედრა კვლავაც არ შედგება

„ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა, რომელიც გალის რაიონის სოფ. ჭუბურხინჯში ყოველი კვირის ოთხშაბათს იმართებოდა, არც 13 აგვისტოს შედგება“ – განუცხადა „იფრინდა“-ს კორესპონდენტს უშიშროების მინისტრის მოადგილემ ავთანდილ იოსელიანმა. მისივე თქმით, აფხაზურმა მხარემ ისევ უარი განაცხადა შეხვედრაში მონაწილეობის მიღებაზე. (იფრინდა)

### სახიფათო არაფერია მოსალოდნელი

დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართულ მოსალოდნელ ტერორისტულ აქტთან დაკავშირებით, კახა თარგამაძემ განაცხადა, რომ, რა თქმა უნდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს აქვს ინფორმაცია ამის შესახებ, მაგრამ რაიმე მნიშვნელოვანსა და სახიფათოს არ მოელის, რადგან სამინისტროს საკმაოდ დიდი ძალა გააჩნია მსგავსი მოვლენების სალიკვიდაციოდ. (გეა)

# ასასინთა უკანასკნელი დღეები

კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ორგანიზაციის მეთაურს პირდაპირი მემკვიდრე არა ჰყავდა. „მთიელი მოხუცის“ ორივე შვილი აწამეს მისი ბრძანების მიხედვით, ერთი – იმის გამო, რომ ჩაიდინა მკვლელობა შესაბამისი სანქციის გარეშე; მეორე – ღვინისადმი ძლიერი მიდრეკილების გამო. ბავშვებმა დაარღვიეს ჰასანის მცნება – „იხელმძღვანელე ჩემი სიტყვებით და არა საქმეებით!“ ჰასანმა დაიბარა ორი თავისი ყველაზე მეტად ერთგული თანაშემწე კიია ბუზურგ-უმიდი და აბუ-ალი ყაზვინიდან. კიიას უნდა მიეღო მემკვიდრეობით ორგანიზაციის რელიგიური ცხოვრების ხელმძღვანელობა, აბუ-ალის კი სამხედრო და ადმინისტრაციული საქმიანობა. ამბობენ, რომ მემკვიდრეობის არჩევისთანავე ჰასან იბნ-საბაჰი გარდაიცვალა 90 წლის ასაკში, 1124 წელს. სამყარომ მისგან საჩუქრად მიიღო ახალი სიტყვა „ასასინი“. არაბულ ენაზე „ასასეენი“ ნიშნავს „მცველს“ და არსებობს თვალსაზრისი, რომ ამ სიტყვის პირველსაწყისი მნიშვნელობა „საიდუმლოთა მცველი“ გახლდათ. ჰასანის დროს ორგანიზაცია შედგებოდა „მქადაგებლების“ (დაი), „მეგობრების“ (რაფიკ), სექტის აპოსტოლების და „ფიდაებისაგან“ (ფანატიკური წმინდანები). ზუსტად ეს უკანასკნელი ჯგუფი წარმოადგენდა გაწრთვნილ მკვლელთა რაზმებს. ეს სტრუქტურა იქნა შენარჩუნებული ორდენის არსებობის მთელ მანძილზე.

ორგანიზაციის წესდება და სტრუქტურა ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც 1256 წელს მონღოლებმა დაიპყრეს ალამუთი და მათი ბიბლიოთეკა ჰელაგუ-ხანს ჩაუვარდა ხელში.

ასასინთა სექტის განადგურება მონღოლთა შემოსევის შედეგად 600 წლის წინ – რაშიც გვარწმუნებენ ისტორიკოსები – მითს წარმოადგენს. დროდადრო ცნობილი ხდება ფაქტები, რომელნიც ადასტურებენ სექტის არსებობას. მონღოლების შემოსევის შემდეგ ასასინები მთელს აზიას მოედვნენ და არალეგალურ მდგომარეობაში გადავიდნენ.

ბევრი მკვლევარი აღიარებს ასასინთა სექტის ორგანიზაციული სტრუქტურის, მომზადების მეთოდიკის და რიტუალების გავლენას სხვა საიდუმლო ორგანიზაციათა ფორმირებაზე. ამირ-ალი, აღმოსავლეთმცოდნე სოლიდური სტაჟით, ამტკიცებს, რომ „...ჯვაროსნებმა ინათხოვრეს ისმაილიტთაგან კონცეფცია, რომელიც საფუძვლად დაედო ყველა ევროპულ საიდუმლო ორგანიზაციას, იქნებოდა ეს რელიგიური თუ სამოქალაქო, ტამპლიერების და ჰოსპიტალიერების ორდენები, დოიღლას დაარსებული „იესოს ორდენი“, დომინიკელები და ფრანცისკანელები – ყველა ეს ორგანიზაცია იღებს სათავეს ან ქაიროში ან ალამუთში. ტამპლიერები კი თავიანთი დიდი მაგისტრით, დიდი პრიარებით, ფანატიკოსი წმინდანებით და ზიარების საფეხურებით განსაკუთრებით გვანან აღმოსავლეთის ისმაილიტებს“.

მოამზადა
კობა კიკნაძემ

დასასრული. დასაწ. იხ. „საქართველო“ №72-80.

## ბინები

იყიდება ერთოთახიანი ლოჯიიანი გარემონტებული ბინა. აქვს დიდი სამზარეული, აბაზანა და ტუალეტი ცალ-ცალკე. ბინა 16 სართულიანი სახლის მე-15 სართულზეა. ფასი შეთანხმებით მისამართი: დიდი დიღომი, გ.ბრწყინვალეს ქ.№15 (I მიკრორაიონი) ტელ. 53-31-08. დარეკეთ საღამოს 8 საათის შემდეგ

იყიდება მიწის ნაკვეთი საირმის გორაზე. ტელ. 38-36-47

იყიდება 6 ოთახიანი არასტანდარტული ბინა რუსთაველზე, ლაღიძის წყალთან. საერთო ფართი 200 კვ.მ, ფასი 75000$ ტელ. 38-01-11

იყიდება 2 ოთახიანი ბინა გადაკეთებული 3-იანად, ლვოვის პროექტის. 9 სართულიანის მე-9 სართულზე. ავეჯით. მუხიანის მე-4 ბ მ-რში. ფასი 6000$ ტელ. 66-16-96

იყიდება მთაწმინდაზე 4 ოთახიანი ტელეფონიანი ბინა. საწყისი ფასი 20000$ ტელ. 64-38-31; 63-00-78

ფალიაშვილის ქუჩაზე, მრგვალ ბაღთან, ორსართულიანი სახლის მეორე სართულზე იყიდება ოროთახიანი ახლადგარემონტებული უცხოვრებელი ბინა. ოთახების ფართია 32 კვ.მ, სამზარეული 7 კვ.მ ჭერი 48.30 სმ. ტელეფონით, სარდაფით, მანქანის სადგომით, აქვს მიშენების პერსპექტივა. ფასი შეთანხმებით ტელ. 96-79-45; 96-80-27 ელიზა

იყიდება სასწრაფოდ 3 ოთახიანი და 4 ოთახიანი ბინა ერთ სართულზე არასტანდარტული ექსპერიმენტული პროექტის იშვიათ სახლში, ფანასკერტელის ქუჩაზე. საერთო ფართი 280 კვ.მ, გარშემო აივნებით, სარდაფით და მანქანის სადგომით. ფასი 45000$ ტელ. 38-01-11

შევიძენ 2 ოთახიან ბინას თავისუფლების მოედნის მიდამოებში 7000$-ის ფარგლებში. ავარიულ ბინას ნუ შემოგვთავაზებთ. ტელ. 22-56-84

## სხვადასხვა

იყიდება სამფაზიანი 20 კვტ დიზელგენერატორი. ფასი შეთანხმებით ტელ. 35-38-79 ალიკო

იყიდება გერმანული მარკის იშვიათი როიალი „ბლუტმერი", ფასი 5000$ ტელ. 38-01-11

იყიდება სასწრაფოდ მაცივარი-საყინულე „მინსკი-18", ფასი 600 ლარი. ტელ. 38-01-11

იყიდება სუფთა ჯიშის კავკასიური ნაგაზი, ფასი შეთანხმებით ტელ. 29-30-37

იყიდება იატაკის საპრიალებელი მანქანა „ეპეემ-2", ოდნავ ნახმარი. ფასი 40 ლარი. ტელ. 29-35-02

## ავტომანქანა

იყიდება ავტობუსი „კუბანი", გამოშვების წელი 1991 წ. ტელ. 39-82-79 (დღის საათებში); 23-41-20 (საღამოს საათებში).

**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**
**93-18-41**

შპს გამომცემლობა **„გონის"** ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, გთხოვთ გამოგვეხმაუროთ.
„გონის" დირექცია
ტელ. 30-23-05

შპს **„გაფის"** (რეგ №2/4-615) ლიკვიდაციასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მიმართონ სალიკვიდაციო კომისიას მისამართზე: კრილოვის ქ.№3. ტელ. 95-44-57

## აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

### აკად. პაატა გუგუშვილის სახელობის საქ.ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი აცხადებს დამატებით მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

*1. იურიდიული (სამართალმცოდნეობა, ავტოტექნიკური ექსპერტი);*
*2. ეკონომიკური;*
*3. დიპლომატიური;*
*4. უცხო ენები;*
*5. პედაგოგიკა-ფსიქოლოგია;*
*6. ფილოლოგია;*
*7. ჟურნალისტიკა;*
*8. ისტორია-ხელოვნებათმცოდნეობა.*

ინსტიტუტის დამფუძნებელია საქართველოს მეცნიერებათა და ეკონომიკურ-მეცნიერებათა აკადემია. რექტორი - ამ აკადემიის პრეზიდენტი, საქ.მეც.აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ.ლ.ჩიქავა.

ინსტიტუტში მოღვაწეობენ საქ.მეცნიერებათა და ეკონომიკურ-მეცნიერებათა აკადემიის, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ.უნივერსიტეტისა და უცხოეთში სერთიფიცირებული პროფესორ-მასწავლებლები.

სწავლის საფასური სავსებით რეალურია, გადასახადის გადახდაში არსებობს გარკვეული შეღავათები.

უმაღლესდამთავრებულნი გასაუბრებით ჩაირიცხებიან მესამე კურსზე. ინსტიტუტი მიიღებს სხვა ინსტიტუტებიდან გადმოსვლის მსურველებს შესაბამის კურსზე და სპეციალობებზე.

საბუთები: ატესტატი (დედანი), 4 ფოტოსურათი (3X4), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

**საბუთები მიიღება ა/წ 26 აგვისტომდე.**
**გამოცდები ჩატარდება 27-31 აგვისტოს.**

ინსტიტუტი მდებარეობს პრესტიჟულ უბანში:
თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ.№5
ტელ. 99-60-20; 99-59-09; 93-36-93

## ბუღალტერთა და ბუღალტერიით დაინტერესებულთა საყურადღებოდ!

*თუ გსურთ*

- ღრმად და საფუძვლიანად დაეუფლოთ თანამედროვე ბუღალტერიის (და არა მარტო ბუღალტერიის) უმნიშვნელოვანეს პრობლემებს;
- მოისმინოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უცხოეთში სერთიფიცირებულ პროფესორ-მასწავლებელთა ლექცია-სემინარები;
- მიიღოთ შესაბამისი სერთიფიკატი;
- ისწავლოთ ქალაქის ცენტრში;
- მიიღოთ განათლება რეალურ თანხაში;

მიმართეთ აკად.პ.გუგუშვილის სახელობის საქართველოს ეკონომიკურ ჰუმანიტარული ინსტიტუტის ბუღალტერთა გადამზადების ცენტრს, რომელიც კვლავ აცხადებს მიღებას ბუღალტერთა გადამზადების სამთვიან კურსებზე. საჭირო საბუთები - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ფოტოსურათი 3X4 - 4 ცალი. საბუთები მიიღება ა/წ 5 სექტემბრამდე. სწავლა დაიწყება 8 სექტემბერს.

მისამართი: თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ.№5 ტელ. 99-60-20;
99-59-09; 93-36-93

## კახა თარგამაძის მამხილებელი დოკუმენტები გასაცნობად გადაეცა საქართველოს პრეზიდენტს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, კახა თარგამაძის მამხილებელი დოკუმენტები განსახილველად გადაეცა საქართველოს პრეზიდენტს, - აცნობა პრაიმ-ნიუსს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა, ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ.

მისი თქმით, „თუ პრეზიდენტი ამ დოკუმენტებს უყურადღებოდ დატოვებს, მაშინ ისინი იძულებულნი იქნებიან ჩაატარონ პრეს-კონფერენცია, რომელზეც მთელ სიმართლეს იტყვიან ყველას გასაგონად".

გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ „სარიშვილი-ჭანტურიას უკან დგანან შსს-ის ყოფილი თანამშრომლები, რომლებიც გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობებიდან სამინისტროში გატარებული რეფორმების შედეგად".

როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა უთხრა პრაიმ-ნიუსს, მაღალი თანამდებობის პირებიდან, ბოლო დროს, შსს-ის ორგანოები დატოვა მხოლოდ ჯემალ გახოკიძემ, რომელიც ამჟამად უშიშროების მინისტრის მოვალეობას ასრულებს".

„ჩემს უკან არავინ არ დგას, - თქვა სარიშვილი-ჭანტურიამ, - მით უმეტეს, გახოკიძე", - დასძინა მან. (პრაიმ-ნიუსი)

## თბილისში დაიკეტა 450 ობიექტი

სანიტარული ნორმების დაუცველობის გამო ბოლო თვენახევრის განმავლობაში თბილისში დაიკეტა 450 ობიექტი, - აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს მთავარმა სახელმწიფო სანიტარულმა ექიმმა, ნიკოლოზ შავდიამ.

მისი თქმით, სანიტარული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმირების დეპარტამენტის განკარგულებით, „ხელმეორედ დაიხურა რამდენიმე ბაზარი, რომლებიც თვითნებურად იყო გახსნილი".

„E" მარკის მქონე საკვები დამატებები, რომელთა ვარგისიანობის ირგვლივ ბოლო დროს, ხმაური ატყდა ქართულ პრესაში, „სავსებით შეესაბამება საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ მედიკო-ბიოლოგიურ სტანდარტებს", - აღნიშნა შავდიამ.

დღეისთვის, როგორც პრაიმ-ნიუსს სანიტარული ზედამხედველობის დეპარტამენტში აცნობეს, ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედებს ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს არსებული მედიკო-ბიოლოგიური სტანდარტები. (პრაიმ-ნიუსი)

## ქუჩაში შეძენილი პროდუქტები საშიშია

ქალაქში გახშირდა ინფექციური მოწამვლები. ამის თავიდან ასაცილებლად მოსახლეობა უნდა მოერიდოს ქალაქის ქუჩებში გასაყიდად გამოტანილ ძეხვს, კარაქს, კვერცხს, - უთხრა პრაიმ-ნიუსს თბილისის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის უფროსმა, ზურაბ ფუტკარაძემ.

მისი თქმით, „გარემოვაჭრეები ძეხვს შებოლილად ასაღებენ, მაშინ, როცა საქართველოში შებოლილი ძეხვი საერთოდ არ მზადდება. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ მოხარშული ძეხვის შენახვის ვადა 72 საათია და ამ ვადის გასვლის შემდეგ იქმნება ინფექციური მოწამვლის საშიშროება".

„ახლა ქალაქში ისეთი აუტანელი სიცხეა, რომ არ გამოერიცხავ ქუჩაში რომელიმე კვერცხის გამყიდველს უცებ წიწილები გამოეჩეკოს და მეორე დღეს კვერცხის ნაცვლად გაყიდოს", - იხუმრა ფუტკარაძემ. (პრაიმ-ნიუსი)

## მტკვრიდან უცნობი მამაკაცის გვამი ამოიღეს

გუშინ, თბილისში, მარჯვენა სანაპიროზე, დიდუბე-საბურთალოს ხიდთან, მტკვრიდან უცნობი მამაკაცის გვამი ამოიღეს.

წინასწარი დათვალიერების მიხედვით მამაკაცი ორი დღის გარდაცვლილია. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ადგენენ უცნობის ვინაობას.

აღსანიშნავია, რომ იქვე მყოფმა რაიონის პოლიციის წარმომადგენელმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ სულ რამდენიმე მეტრიღა იყო საჭირო, რათა გვამი მეზობელი რაიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილიყო. ამდენად გამოძიებასთან დაკავშირებული სირთულეები მეზობელი - დიდუბის რაიონის სამართალდამცავი ორგანოების პრობლემა გახდებოდა. (გეა)

## ეპიდემიასთან ბრძოლა ვერ ხერხდება

სახსრების უქონლობის გამო, პარაზიტოლოგები ვერ ახერხებენ დაავადება ლეიშმანიოზის გადამტანი მწერის - ფლებოტომიუსის საწინააღმდეგო საშუალების - პირეტროიდის შეძენას, აცნობეს პრაიმ-ნიუსს საზოგადოებრივი ჯანდაცვის საქალაქო ცენტრის პარაზიტოლოგიურ განყოფილებაში.

ლეიშმანიოზით დაავადებულთათვის დამახასიათებელია ტემპერატურის მომატება, სისუსტე, წამწამების გაზრდა, მუცლის გადიდება და სხვა, რასაც უყურადღებობის შემთხვევაში სავალალო შედეგი მოსდევს.

პარაზიტოლოგების თქმით, ეპიდემიის, მათ შორის ლეიშმანიოზის გავრცელებას ყველაზე მეტად უწყობს ხელს მაწანწალა ძაღლების გაზრდილი რაოდენობა, რის გამოც მრავალჯერ მიმართეს ვეტერინარიის სამმართველოს.

დაავადების გამოვლენის შემთხვევაში, ჯანდაცვის საქალაქო ცენტრის მიერ გამოყოფილი სპეციალური ჯგუფი საეჭვო კერებში ათავსებს სპეციალურ წებოვან ქაღალდს, რომლის მეშვეობით ვლინდება გადამტანი მწერის არსებობა.

1995 წელს, გამოვლინდა ლეიშმანიოზით დაავადებულთა 7 შემთხვევა, 1996 წელს - 20 შემთხვევა, მიმდინარე წელს - 28 შემთხვევა.

პარაზიტოლოგების პროგნოზით, დაავადება იმძლავრებს, ვინაიდან ზაფხულის პერიოდში მკვეთრად მატულობს მისი გადამტანი მწერის აქტიურობა. (პრაიმ-ნიუსი)

*მამა ნაომი, ერისკაცობაში ნოდარ ვაჭრიძე, არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს ჭეშმარიტი მოძღვარი. გარეჯის უდაბნოს სამონასტრო კომპლექსში დღეს ალამებს და ღამეს ათენებს უფლისადმი ლოცვა-ვედრებაში. უდაბნოს მიწას ეტყობა მისი და მამა ანდრიას მადლიანი და გამრჯე ხელი. იქაურობა წალკოტად არის ქცეული.*

გთავაზობთ წმიდა მამის ერთ ლექსს.

წუთისოფელს მაშორებს
მონასტერის კედლები
არ დამერღვეს სიმშვიდე
უფალო გევედრები.

სათნოებავ სულისა
ძახილს შენსას მე ველი
მხოლოდ მშვიდთა ხვედრია
ცათა სასუფეველი.

მე ჩემს წილხვედრ ცხოვრებით
ტყუილა რად მოვცდები
შეიწყნაროს ცამ ჩემი
ცრემლიანი ლოცვები.

და შორს ჩემგან სიკვდილო
თვალს რომ რისხავ შენა ხარ
რაც უნდ სცადო ჩემს რწმენას
მაინც ვეღარ შელახავ

რაც უნდ სცადო სიცოცხლით
მაინც არ დავვოკდები
ჩემს სავალ გზას გავლევ და
ვალმოხდილი მოვკვდები

წუთისოფელს მაშორებს
მონასტერის კედლები
არ დამერღვეს სიმშვიდე
უფალო გევედრები.

**მამა ნაომი**
**(ნოდარ ვაჭრიძე)**

გვწერენ

# არც ისეთი ცუდები ვართ, ხალხო!

მე მგონი, ყველა დამერწმუნება, რომ თუ ჩვენს, ქართულ მიწაზე დაფუძნებულ-დამკვიდრებული არაქართველთა ნაწილი ასე თუ ისე ნორმალურადაა განწყობილი ჩვენი ხალხისა და სამშობლოსადმი და გაჭირვების ჟამს შეიძლება ხელიც კი გამოგვიწოდოს დასახმარებლად, საკმარისზე მეტნი არიან ისეთებიც, რომლებიც ვერ გვიტანენ ჩვენ და რომლებსაც ყოველი ჩვენი ცუდი ახარებთ და აღაფრთოვანებთ.

ნათქვამის დასადასტურებლად საკმარისია გავიხსენოთ აფხაზეთში 1993 წლის სექტემბრის ტრაგედიის დღეები, როცა სომხების ბაგრამიანის სახელობის ბატალიონმა აფხაზებსა და კაზაკებსაც კი გადააჭარბა სისასტიკითა და ბოროტებით ქართველთა მიმართ.

განსაკუთრებულ კატეგორიას კი ამ მხრივ წარმოადგენენ რუსი სამხედროები, ოფიცრები და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც, როგორც წესი, შავი სათვალეებით უყურებენ ყოველივე ქართულს და შემთხვევას არ გაუშვებენ ხელიდან, რომ შეურაცხყოფა არ მოგვაყენონ და არ დაგვცესლონ.

სამ ათეულ წელზე მეტი ვიმსახურე საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში და ბევრი მომისმენია ჩემს ყოფილ ე.წ. „თანაპოლკელთაგან“ თუ მათი ოჯახის წევრებისაგან, უმეტეს წილ მეუღლეებისაგან, გულსატკენი და ჩვენი ქვეყნისა და ჯილაგის შეურაცხმყოფელი ეპითეტები.

ერთი ასეთი გადამდგარი პოლკოვნიკი ცხოვრობდა ჩემს მეზობლად მეუღლესთან ერთად, რომელმაც თითქმის ორმოცდაათი წელი გაატარა აქ საქართველოში და მთელი მისი დღე და მოსწრება როგორც თვითონ, უფრო მეტად კი მისი მეუღლე, სულ ქართველების ძაგება-ლანძღვაში იყვნენ. არაფერი ჩვენი არ მოსწონდათ და სულ იმის ნატვრაში იყვნენ, როდის გვეღირსება რუსეთში წასვლა საცხოვრებლადო.

და აი, ნახევარ წელზე მეტი გავიდა უკვე მას შემდეგ, რაც ეს ჩვენი დაუღალავი კრიტიკოსები ეწვივნენ საწადელს და დღეს უკვე ცხოვრობენ ჩრდილო კავკასიის ერთ-ერთ დიდ ქალაქში, სადაც მათ სამხედრო უწყებამ გამოუყო ბინა.

მათ სალაპარაკო აღარაფერი აღარ უნდა ჰქონდეთ, რამეთუ აისრულეს დიდი ხნის ნატვრა, მაგრამ, თურმე, არც ისეთი სამოთხე ყოფილა იმ რუსეთში, როგორსაც ელოდნენ ისინი.

აქ ეკონომიკაზე არაა ლაპარაკი, რადგანაც ამ მხრივ ეს ცოლ-ქმარი იქ სრულიად უზრუნველყოფილია (ორივეს თვიური პენსია შეადგენს მილიონნახევარ რუსულ მანეთს), მაგრამ, თურმე, ყველაფერი ფულით არ გაიზომება.

ნათქვამის დასადასტურებლად აქ მოვიყვან ამონაწერს მისი ერთ-ერთი უკანასკნელი წერილიდან, რომელიც ამას წინათ მივიღე და დეე, თვითონ მკითხველმა განსაჯოს ამ გადამდგარი პოლკოვნიკის სახეცვლილების მიზეზი:

„Народ здесь мне не нравится, очень грубый, поэтому я скучаю за Тбилиси, я сейчас почувствовал, что он стал родным и близким городом, да и народ в Грузии совершенно другой, более обходительный, а здесь как "Мурло"; Но что поделаешь, приходится доживать свою жизнь в этих условиях. Правда, вроде бы условия не плохие - свет, газ, горячая вода, но одним этим не проживешь".

"Я хоть сейчас бы возвратился в Тбилиси".

მე მგონი, ეს ამონაწერი საქართველოს ამასწინდელი კრიტიკოსის და განმქიქებლის წერილიდან მრავლისმეტყველია და კომენტარს არ საჭიროებს.

რატომ დაიწერა ეს წერილი?

იმიტომ, რომ ამ ბოლო ხანებში ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა მოიცვა თვითგვემის სინდრომმა. დღეს ჩვენ ყველაფერს ჩვენსას ვლანძღავთ და ვთათხავთ და თითქოს ამ თვითგვემაში სიამოვნებასაც კი ვპოულობთ, რაც ზიანის მეტს არაფერს მოუტანს საქართველოს.

ბევრი სატკივარი და უბედურება სჭირს დღევანდელ საქართველოს, ჩვენს ხალხს, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზეციერმა ბევრი სიკეთით შეამკო ჩვენი ჯვარი და ჯილაგი, რასაც ჩვენი არაკეთილისმსურველიც კი ხედავს და რითაც სამართლიანად იამაყებდა ნებისმიერი ერი ამ ცოდვილ მიწაზე.

ჩვენ კი ყველაფერს ჩვენსას ტალახში ვსვრით.

არც ისეთი ცუდები ვართ, ხალხო, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ.

**ვახტანგ თულაშვილი**
გადამდგარი პოლკოვნიკი

# კაიფვორდი



მხოხავ დაზვერვაზე: 1. დაშლილი, შესაერთებელი, ტარგაყრილი, გალლეტილი; 4. გრაფის საყვარელი ქალის სახელი; 10. გაზაფხულზე დასაკრავი დასარტყმელი ინსტრუმენტი; 11. „ტახის“ მიტოვებული ადგილი; 12. „ფანტას“ მოყვარული არარეალური რამ; 14. ჩაძირული ბერძენი მეცნიერი; 16. ოცდაათი ვერცხლის საფასური სახელი; 17. „ბილიარდის“ მოთამაშე არგენტინელი მწრთვნელი; 18. გატეხილი ქარი; 20. მოულოდნელი დანახვისას კედელში ჩასასობი; 21. საქმისადმი ფორმალურად დამოკიდებული ურორჩარტყმული თანამდებობის პირი; 22. „რეტის“ დამსხმელი სასმელი; 25. ასახტომი საპყრობილე; 27. ხის რომელ ნაჭერზე შეიქმნა უნიკალური გადამცემი აპარატი; 28. ჭიჭყინა თვე; 31. კეტიანი იარაღი; 32. ძველის განმეორება, რომელიც „რეტს“ დაგახვევს თავს; 33. ტყის ბირჟაევიკი; 34. კარტის მოთამაშე ჩასასობი; 35. მანის მჭამელი საპროგრამო ხასიათის მოწოდება; 36. უისთან შეყრამდე გასაყარი.

სარგადაყლაპული: 1. ზაფხულის პაპა; 2. ტურის მხატვრული წასაკითხი; 3. ტახის სამეფო წამოსაწოლი, გადასავარდნი; 5. ტალინში დამზადებული ფეხსაცმლის საცხი (რუს.კავშ.); 6. ნალის დამამზადებელი სამხედრო საჭურვლის ქარხანა; 7. უდიდესი წინაპარი; 8. ლანდებში ამოსაჭრელი; 9. საბაჟოზე მისართმელი კერძი; 13. რომის მსმელი მოედანი; 15. იორზე მინიჭებული ოფიცრის წოდება; 19. პელეს საჰაერო ხრახნი; 20. ჩირიკის ძმაკაცი; 23. ლერწმისტანიანი ასულის ტილიანი დასახლება; 24. დასამსგავსებლად შერჩეული ხილი; 26. ტურის ჩასატარებელი შეჯიბრი; 27. მორისგან დამზადებული ნარკოტიკი; 29. მოჭადრაკე გარეული ცხოველი; 30. ადამიანის შესასწავლი მარილის საჭმელი დოზა.

## წინა ნომრის პასუხები:

მხოხავ დაზვერვაზე: 1. კალმახი; 6. პლატონი; 10. ბურანი; 12. ნამგალი; 13. ტკბილი; 15. ნემო; 16. უსურია; 18. ნოტები; 19. ნეილონის; 23. ბურა; 26. კილო; 28. კემუხტი; 29. ნაპოლეონი; 32. ბასტილია; 34. საველიჩი; 35. კლოსი; 36. რემონტი; 37. კარასი; 38. ბრაზილია.

სარგადაყლაპული: 1. კუნძული; 2. ლომგული; 3. ატამი; 4. ბუა; 5. ფანტელი; 6. პიანინო; 7. არამკითხე; 8. ნაკბენი; 9. არიონი; 11. დინასტია; 14. ხნა; 17. აცე; 20. (კ) – კრება; 21. (ხ) – ხახვი; 22. (თ) – თბილისი; 24. ანტალია; 25. ონავარი; 27. ორბიტა; 30. პროსტი; 31. კლასი; 32. ბორი; 33. სემი; 34. სეკა.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444